 გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№124 (1019) 15 – 16 დეკემბერი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

აუცილებელი ინფორმაცია ონკოპაციენტებისთვის

რამდენი პროცენტით აფინანსებს სახელმწიფო ქიმიო და სხივურ თერაპიას გვ. 9

არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ ლეონარდო დევდარიანთან

კგბ-ს აგენტობასა და კორუმპირებულ ჩინოვნიკებთან კავშირში ეჭვმიტანილი ლეონარდო დევდარიანი სკანდალურ ფაქტებს ასაჯაროებს გვ. 4–5

გივი თარგამაძეს სამუდამო პატიმრობა ემუქრება?

გვ. 3

კახეთში დიდი პროვოკაცია იგეგმება?!

ვინ დგას ლეკების უკან და რატომ ავლებს პარაღელს მამუკა არეშიძე 90-იან წლებთან

ლიტო გელოვანი გვ. 2

რამდენიმე მტკავლი ნაციონალების ცხოვრებიდან

ის, რაც ცდებოდა წინა ჰვირაში

შეგირდობის საპილოტე პროგრამა უმუშევრობას შეამცირებს

კერძო სექტორი ახალ ინიციატივას მხარს უჭერს გვ. 8

2015 წლიდან საქართველო ციფრულ მიწისზედა საეთერო მაუწყებლობაზე გადადის გვ. 6

დათა ახალაიამ ზურაბ ქვანიას ძმაკაცს ფიროსმანის ნახატის ქურდობა „შეტენა"

გვ. 9

პატიმრის დღიური

სოციალური პასუხისმგებლობის მაგალითი – ლიბერთი ბანკმა დღის ცენტრის რეაბილიტაცია განახორციელა

ლიბერთი ბანკი LIBERTY BANK გვ. 7

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მუსიკალური თერაპია დღის ცენტრში

რამდენიმე მტკაველი ნაციონალების ცხოვრებიდან

დიტო გელოვანი

„აქ კი კუმეომ ჩაფიქრებულ დარბაისელ სენიორ ჯულიოს წვივზე სტაცა თითები და ძაღლივით შეჰყეფა! სენიორ ჯულიო, მოულოდნელობისგან ძლიერ შეხტა ჰაერში, მერე ღელეში შევარდა, აშხეფებულმა წყალმა ოდნავ გამოაფხიზლა, სახეარეულმა მიიხედა უკან და ძაღლის ნაცვლად დაკრეჭილი კუმეო შერჩა. „ჯანდაბა და ოხრობა შენ, შე ვირო! შე ვირის მოდგმავ... ოჰ, მაპატიე, შვილო, კონჩეტინა“. „არა უშავს, ჯულიო ბიძია, — გაამხნევა კონჩეტინამ, — ჩვენ, კარრასკოებს, ლაღი ხუმრობა ოდითგან გვიყვარს“. „ვირს რაღას ერჩოდა, — გაიოცა ალექსანდრომ, — მშვენიერი ცხოველია, უწყინარი, სათნო...“

(გურამ დოჩანაშვილი, „სამოსელი პირველი“)

პორტუგალიელებს კი არაფერს ვერჩი, მაგრამ... საერთოდაც, პორტუგალიელობა არაფერ შუაშია. შუაშია კომკავშირლობა. კომკავშირელი ყველგან კომკავშირელია, საქართველოშიც, პორტუგალიაშიც და პორტუგალიის ყოფილ კოლონიებშიც კი. ერთადერთი, რაც კომკავშირლებში მომწონს, სოლიდარულობაა. ისინი ერთმანეთის სოლიდარულები არიან ყველგან და ყოველთვის. გასულ კვირაში ქართველმა კომკავშირელმა პორტუგალიელი კომკავშირელის წერილის გამო ვაი-უშველებელი ატეხა. ქართველი კომკავშირლების ბედით შეწუხებულ პორტუგალიელ კომკავშირელს წერილში უშველებელი „ვაი“ ჰქონდა ატეხილი.

უშველებელ „ვაის“ ნიუსიც უშველებელი მიეძღვნა, თუმცა, ამ ქვეყანაში კომკავშირლების რაოდენობა რომ არ მცირდება, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ნიუსის შემცირება შეუძლებელია.

ჯერ მარტო სათაური რად ღირს — „გიგი წერეთელი ჟოაო სუარესის წერილს საქართველოსთან დაკავშირებით საყურადღებოს უწოდებს“.

რაო? რა თქვა გიგიმ ამისთანა? გიგიმ თქვა: „დღეს ჩვენ მივიღეთ კიდევ ერთი წერილი ევროპელი პოლიტიკოსის, რომელიც პირადად დავით უსუფაშვილის სახელზე გამოიგზავნა. ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ყოფილი პრეზიდენტი და პორტუგალიის პარლამენტის მოქმედი წევრი, ჟოაო სუარესი წერილში კრიტიკულად აღნიშნავს იმ პოლიტიკურ ბუნებას, რომელიც საქართველოში მიმდინარეობს. ის გამოხატავს შეშფოთებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში ხელისუფლების ასეთი მოქმედება დემოკრატიას უკან ხევს, რაც მიმდინარე პროცესებზე ნეგატიურად მოქმედებს. ის ძალიან უარყოფითად არის განწყობილი ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მიმართ განხორციელებული პროცესებისადმი. მთავრობამ თუკი ასეთი განცხადებები არ გაითვალისწინა და არ შეცვალა პოლიტიკა, ჩვენ გვექნება ძალიან ცუდი შედეგები”.

და, ჟოაომ რაო? ჟოაომ — ეს: „არაერთმა საერთაშორისო მონაწილემ, მათ შორის OSCE/ODIHR-ისა და ეუთო-ს რამდენიმე ქვეყანამ გამოხატა შეშფოთება სასამართლო პროცესების სამართლიანობისა და იმ ფაქტის გამო, რომ ოპოზიციის ზოგიერთი წევრი ან პატიმრობაშია (ძირითადად წინასწარ პატიმრობაში) ან ბრალდების/გამოძიების ქვეშ არის. ყოველივე ეს ჩრდილს აყენებს საქართველოს მიერ ბოლო წლებში მიღწეულ დემოკრატიისა და ინსტიტუციური განვითარების პროგრესს”.

აბა, ჩვენ კიდევ ეს გვინდოდა, ასეთი რამეების კიდევ და კიდევ გადაკითხვა! მაგრამ სულ ასეთი რამეებია, სხვას ვერაფერს ვპოულობ, იმისი არ იყოს, ინგა გრიგოლიას სულ ნარჩევნარჩევი ნაბ...ბი რომ დაყავს სტუდიაში და მერე რომ გვიკვირს, ინსულტი და ანევრიზმა რატომ გახშირდაო.

წუნკალი ნემოს წუნკალი ბიჭი იქით იყოს, მაგრამ ის ნაკოლკიანი სკუმბრია სად მონახა, დარბაზში რომ ეჯდა? ან, ის იროკეზი ყმაწვილი, ორი კვირის წინ რომ აბრიალებდა თვალებს!

ჰოდა, ახლა ის დროა, მივცვივდეთ ტელევიზორთან და მოვიფიქროთ, როგორ დავამშვიდოთ შეშფოთებული ჟოაო.

თან საქმე. იქნებ, იდეები გზადაგზა წამოვიდეს.

და წამოვიდა კიდეც — მიხეილ სააკაშვილზე ინტერპოლს ძებნა ჯერ არ გამოუცხადებია. მთავარი პროკურორის მოადგილე რომ არის, შოთაძე, იმას უთქვამს, მოთხოვნა გავაგზავნეთ, მაგრამ პასუხი ჯერ არ მიგვიღიაო. იმედი მაქვს, ეს ინფორმაცია ცოტათი მაინც დაამშვიდებს გიგი წერეთლის პორტუგალიელ მეგობარს, ოღონდ იმ პირობით, თუ ეს არ ეცოდინება — სააკაშვილს ბრალი ოთხ საქმეზე აქვს წარდგენილი. 7 ნოემბრის საქმეზე კი, აღმკვეთი ღონისძიების სახით თბილისის საქალაქო სასამართლომ პატიმრობა შეუფარდა. მასზე შიდაძებნა უკვე გამოცხადებულია.

სწორედ ეს „შიდაძებნაა“, ასე რომ აშფოთებს უცხოელებს — „ეს ჩრდილს აყენებს საქართველოს მიერ ბოლო წლებში მიღწეულ დემოკრატიისა და ინსტიტუციური განვითარების პროგრესს“. მაგრამ არ შემიძლია, არ ვთქვა, რომ იგივე „შიდაძებნა“ ჩვენი, საქართველოს მოქალაქეების აღშფოთებასაც იწვევს, იმიტომ რომ, სააკაშვილი აქ არ არის, ძებნაში კი გადასახადების გადამხდელთა ფული სულ ტყუილად იხარჯება.

მიშა, უუუუუ!!!

გასული კვირიდან მოყოლებული, თბილისში, ბათუმსა და ყვარელში მიშას ძებნას, გადასახადების გადამხდელთა გარდა, ძაღლების მეპატრონეებიც დააფინანსებენ. პარლამენტმა ასე გადაწყვიტა. მოკლედ, თუ გყავთ ძაღლი, რომელიც ქუჩას ყოველდღე აბინძურებს, კეთილი ინებეთ და ან დაასუფთავეთ, ანაც ყოველდღე 50-50 ლარი გადაიხადეთ. პრინციპში, ეს სამართლიანია, თუმცა კანონში კურიოზი აღმოაჩინა გოგა ხაჩიძემ, — „ეს კანონი არის გაუაზრებელ სურვილებზე აგებული. კანონში გვაქვს, რომ ძაღლის და სხვა ცხოველების მიერ ტერიტორიის ფეკალური მასებით დაბინძურება ინვევს დაჯარიმებას 50 ლარით, თუმცა, ცხოველის მეპატრონე თუკი ტერიტორიის გასუფთავებას მოახდენს, მისთვის ჯარიმა არ იმოქმედებს. იქვე მეორე ნაწილში წერია, რომ ტერიტორიის ერთი კუბური მეტრის ფეკალური მასით დაბინძურება 150 ლარით ჯარიმდება. იქნებ ამასაც ასუფთავებს ადამიანი?“

ერთი კუბური მეტრი ძაან მაგარი იყო, აი, ძაან მაგარი. ყოველგვარი ირონიის გარეშე ვამბობ, სერიოზულად, ოღონდ — ნიშნისმოგებით. და აი, რატომ. როგორც მოგეხსენებათ, გარემოს დაცვის სამინისტრო სულ ნაცზონდერებით არის გადავსებული, მოსაქმებულის კუბატურის გაზომვა-განსაზღვრა კი სწორედ ამ უწყების თანამშრომლების მოვალეობა იქნება. ბავშვობისდროინდელი ლაზღანდარობა მახსენდება: „იყო ერთი სპილო, მ...ვა ასი კილო, მოვიდა კატა, იმან დაამატა. მოვიდა მელა, იმან გაათხელა...“.

ერთი სპონსორი მჭირდება, რომელიც მიყიდის სპილოს, კატას და მელას, ასევე მათთვის საკვებს. სიტყვას გაძლევთ, ნაციონალების ოფისთან დავცემ ჩემთვის კარავს, ცხოველებისთვის კი — ვოლიერებს. ხანდახან გამოვასეირნებ ხოლმე იმ თანმიმდევრობით, ზემოთ როგორც მოგახსენეთ და მერე ერთად ვიხალისოთ, როგორ დაუწყებენ გარემოს დაცვის სამინისტროს თანამშრომლები ზომვას სპილოს, კატისა და მელას ნამოღვაწარ კუბურ მეტრებს სახაზავებით, ე.წ. რულეტკებით და, ბოლოს და ბოლოს, მტკაველებით.

ეს არის საქმე, თორემ თოქ-შოუს ამბავში ჩიორასთან საპოლემიკოდ გუგულის რომ გაგზავნი, ეგ საქმე არ არის, ეგ ვიღაცის ბუდეზე გადაფრენილთა კვერცხობაა.

ისე, სულაც არ იქნებოდა ცუდი, იმ ჩემი ოცნების ვოლიერში სპილოს, კატას და მელას ნაცვლად, გოკა გაბაშვილი, გიორგი კანდელაკი და ნიკა მელია მსხდარიყვნენ.

მაშინ ნახავდით ჟოაო პორტუგალიელის შეშფოთებას, ახლა კი, წესით, კმაყოფილი უნდა იყოს — თუ საქმიანი ძაღლი გყავს, გადაიხადე ჯარიმა და გარემოსდამცველი ნაცები დაასაქმე.

ჯარიმა მნიშვნელოვანი საკითხია, „რასაც დასთეს, იმას მოიმკი“-ს პონტში. ვენაცვალე ოლიმპიურ სისტემას. წააგე, წადი სახლში. დააშავე — გადაიხადე ჯარიმა. ჯარიმა ის გაკვეთილია, რომელიც უნდა გაითვალისწინო. ჯარიმამ უნდა გამოგაფხიზლოს, მაგრამ უნდა დაჯარიმდეს ის, ვინც დააშავა, ხოლო ვისაც არაფერი დაუშავებია, იმან რა დააშავა? ვისაც არაფერი დაუშავებია, ის არ უნდა ისჯებოდეს.

მაგალითად, 2003 წლის ნოემბერში საქართველოს მოსახლეობის 97-მა პროცენტმა პირდაპირ რუსთაველის გამზირზე მოისაქმა, დასჯით კი, პირველ რიგში და ყველაზე მეტად, ის სამი პროცენტი დაისაჯა, ხმის ჩახლეჩამდე რომ ყვიროდა, რას შვრებით, ხალხო, მაგის ადგილი აქ არ არისო.

„საუბარია იმაზე, რომ შეიძლება, შინაურმა ცხოველმა ერთ კუბურ მეტრზე მეტი ფეკალური მასა დატოვოს, რაც გარემოს ზიანს აყენებს. როდესაც ადამიანი ასეირნებს ძაღლს, თუ მას მიეცა საშუალება, რომ აიღოს ამ ძაღლის ფეკალური მასა, მას პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, მაგრამ არის შემთხვევა, რომ ეს არ არის ცხოველი და ერთი კუბური მეტრი ნაკელის დატოვება ძაღლს არ შეუძლია. ეს სასაცილო, მაგრამ საინტერესო თემაა, რადგან ნაკელი უადგილო ადგილას გარემოს ზიანს აყენებს”, — განაცხადა მინისტრის მოადგილემ, მაია ბითაძემ. უკეთ ვერ იტყვი. ყოჩაღ, მაია!!!

მართალი უთქვამთ, ქალმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარ-კამეჩი ვერ დააკავებსო.

გასულ კვირაში ქალების თემაზე დიდი ღონისძიება ჩატარდა და მასში ხარ-კამეჩებმაც მიიღეს მონაწილეობა.

„სასტუმრო „რადისონ ბლუ ივერიაში“ დღეს ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) ორგანიზებით, საქართველოში ქალთა პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის თემაზე კონფერენცია — „გავიმარჯვოთ ქალებთან ერთად”, გაიმართება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ NDI-დან აცნობეს, საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი და საქართველოში შვედეთის სამეფოს ელჩი მარტინა ქუიქი კონფერენციის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართავენ“, — რამდენიმე დღით ადრე მაცნობა ერთგულმა მეგობარმა.

ამან, იქნებ, ოდნავ მაინც დაამშვიდოს ჟოაო სუარესი — „ჟილ ვისენტეს“ გულდამწვარი გულშემატკივარი.

„2010 წლის აპრილში 11-მა პოლიტიკურმა პარტიამ ხელი მოაწერა NDI-ს გლობალურ სამოქმედო გეგმას „გავიმარჯვოთ ქალებთან ერთად: გავაძლიეროთ პოლიტიკური პარტიები“. აღნიშნული გეგმის ფარგლებში პარტიებმა აიღეს ვალდებულება, იმუშაონ იმ ბარიერების აღმოსაფხვრელად, რომელიც ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობას უშლის ხელს. კონფერენციაზე სამოქმედო გეგმის ხელმომწერი პოლიტიკური პარტიები წარადგენენ საკუთარ ხედვას, თუ როგორ აპირებენ, უზრუნველყონ ქალების თანაბარი წარმომადგენლობა პარტიის სტრუქტურებში და სტუმრებს გააცნობენ სამოქმედო გეგმის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების ანგარიშს“, — ნიუსის დასასრული.

გავიმარჯვოთ ქალებთან ერთად!!!

სულ ერთიანად დამბურძგლა. თამარ მეფე, ქეთევან დედოფალი, კრავაი ჯაყელი, ხვაშაქ ცოქალი, თამარ ვაშლოვნელი, მაია წყნეთელი, მარო მაყაშვილი... მათთან ერთად სიამოვნებით გავიმარჯვებდი, მაგრამ...

ეკა გიგაური, ნინო ლომჯარია, ჩიორა თაქთაქიშვილი, ხათუნა გოგორიშვილი, ქეთა გაბიანი, გუგული მაღრაძე, ნანა ყეენიშვილი... — ამათთან ერთად დამარცხებისთვის ხარ განწირული. ესენი სადმე ერთად უნდა შეყარო, ეზოში დაუბა გოკა გაბაშვილი, გიორგი კანდელაკი და ნიკა მელია. შემდეგ, როგორც ზემოთ მოცემულ ტექსტშია, ოღონდ ზომა-წონა კობა ხაბაზმა უნდა დაადგინოს. მტკაველით გაზომოს, მუჭით აწონოს, თავი გადააქნიოს და „მიშა მიყვარხარ“ შესძახოს.

„ხმამაღლა ვაცხადებ, რომ დიახ, ვემხრობი ქვეყანაში ინსტიტუციური კულტურის შეცვლას და იმას, რომ კანონით დადგინდეს კვოტები ქალებისთვის – რამდენი უნდა იყოს პარლამენტში ან თუნდაც პარტიულ სიებში. ზოგიერთ ქვეყანაში ეს პრაქტიკის დონეზე რეგულირდება და ამ პრაქტიკას არავინ არღვევს, მაგრამ ჩვენ ეს პრაქტიკა არ გვაქვს, არც გვქონია და ამიტომაც ვფიქრობ, დროებითი ზომის სახით კანონით უნდა იყოს შემოტანილი ამგავრი კვოტები“, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

ეეე, ეგ რა არის! აი, ნახეთ, მე რას ვაცხადებ ხმამაღლა: დიდი მწერლების ჩამონათვალში ნახევარი უნდა იყოს ქალი, ნახევარი — კაცი. ასევე — დიდი პოეტების, მხატვრების, მეცნიერების, მხედართმთავრების ჩამონათვალში. მეტიც, ლიონელ მესი კაცია, კრიშტიანუ რონალდუ — ქალი, „როლინგ სთოუნზი“ კაცია, „ბითლზი“ — ქალი, „კაცია ადამიანს“ თავდაპირველ ვარიანტში „ქალია ადამიანი“ ერქვა და, საერთოდ, მთავარი გაგება კი არ არის, მთავარი ქალთან ერთად გამარჯვებაა.

აი, თქვენ კი გაიმარჯვეთ მარიკა ვერულაშვილთან ერთად!!!

ჰოდა, ვიღაცამ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი რომ შეიტანა, ქალები ჯარში გავიწვიოთო და ამბავი რომ ატყდა, რა პონტიაო, იმ ადამიანს მართლა ის კი არ უნდა, ქალები ჯარში მიდიოდნენ, უბრალოდ უკვირს, საპარლამენტო და სამთავრობო სიებში რომ ითხოვენ გენდერულ ბალანსს, იქნებ სხვაგანაც მოითხოვონ.

მაგალითად, ხადავიკი მაყვალა რომ გეტყვის, შტანგის რეზინკებია გამოსაცვლელიო, გიფსოკარდონში კი ნათელა ელიავაზე რომ გაგყვება და ზეინაბ-თამადის ბრძანებით, მერიქიფე ლამზირა კისერში ყანწს ჩაგითქრიალებს.

თუ ბალანსია, ბალანსი იყოს.

ძალიანაც მინდოდა, ამ სტატიაში ქალები და კაცები თანაბრად მეხსენებინა, მაგრამ არაკაცების გვერდით ქალების ხსენება მიჭირს, არაკაცების გვერდით მხოლოდ ზოგადსაკაცობრიო ქალებს თუ ახსენებ. ჰა და ჰა... ვთქვა „კობა ხაბაზი“ და დავაყოლო „ნინა წკრიალაშვილი“. ისე კი, უხდებიან ერთმანეთს და თუ ქორწილია, ქორწილი იყოს. ხინკალი კობა ბექაურმა მოახვიოს, ხაჭაპური ზაზა ბეგაშვილმა გამოაცხოს, მჭადები აკო მინაშვილმა დასვას, მაია ნადირაძემ ითამადოს, დაძალების დარგში ირმა ნადირაშვილი დაეხმაროს, ხათუნა გოგორიშვილმა მერიქიფეობა გაწიოს, ხოლო გოგა ხაჩიძემ ყელი მოიღეროს: „პატარა ბიჭი დამეკარგა...“

მიშა? მიშას რა?

გუსარი მალჩატ!!!

მიშასთვისაც მოიძებნება რამე. მიშა დილით ადრე ადგეს, ზეწარი გამოფინოს და ჟოაო სუარესის შეშფოთებულ კითხვაზე — „ქალიშვილი ხომ არ იყო“ - ამაყად უპასუხოს: „ქალიშვილი არა, ისა!“

ხომ გეუბნებოდით, თან საქმე და ჟოაოს დასამშვიდებლად რამეს აუცილებლად მოვიფიქრებთ-მეთქი.

მ.რ. (მეტი რაღა)...შენ კი, კონჩეტინა, მართლა სულელივით რომ აპარპალებ თვალებს, რკინა რომ ჩაგცხონ, ღმერთმა დაგიფაროს და, გულწასული მიხვდები რამეს? არადა, ლაპარაკი თქვენ არ გესმით, არც დარიგება, ადამიანებში ხომ ვერ ერკვევი და ვერ ერკვევი და სხვა რა გიყო, რომელი მხრიდან მოგიდგე, კონჩეტინა, ბრიყვო? რაღა გაკადრო სხვა...

(გურამ დოჩანაშვილი, „სამოსელი პირველი“)

კახეთში დიდი პროვოკაცია იგეგმება?!

რუსუდან შელია
557-100-768

„რუსეთი არ არის ოკუპანტი, ჩვენ გვინდა რუსეთი და საბჭოთა კავშირი“, — ამ ლოზუნგით ყვარლის რაიონის სოფელ სარუსოში მცხოვრები ლეკები იმ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს დაუპირისპირდნენ, რომლებიც ავარო-კახეთის გზის მშენებლობას აპროტესტებდნენ. ვინ დგას ორი დაპირისპირებული მხარის უკან და მზადდება თუ არა კახეთში პროვოკაცია? — „ვერსიის“ კითხვებს კავკასიის საკითხების ექსპერტი მამუკა არეშიძე პასუხობს.

ვინ დგას ლეკების უკან და რატომ ავლებს პარაღელს მამუკა არეშიძე 90-იან წლებთან

— იმ არასამთავრობო ორგანიზაციების პოზიცია, რომლებმაც ყვარელში აქცია გამართეს, ჭიქაში ქარიშხლის ატეხვის მცდელობას ჰგავდა, რადგან საქართველოს ხელისუფლებას ავარო-კახეთის გზის მშენებლობაზე გადაწყვეტილება არ მიუღია — კარგად ესმის, ეს რა პრობლემებსა და გამოწვევებთანაა დაკავშირებული, ამიტომ ყვარელში დაპირისპირება ერთგვარ სპექტაკლს ჰგავდა, რომლის მონაწილეებმაც არ იცოდნენ, მარიონეტის როლში რომ იყვნენ.

— ეს სპექტაკლი ვინ დადგა და, საერთოდ, საქართველოში ეთნიკურ ნიადაგზე მორიგი კონფლიქტის გაღვივება ვის აწყობს?

— რთული სათქმელია. ფაქტია, აქციის მონაწილეებმა ავარო-კახეთის გზის მნიშვნელობაზე არაფერი იციან — აქციაზე მოწოდებები გვესმოდა, პუტინის ტანკებს საქართველოში არ შემოვუშვებთო, არადა, თბილისიდან 15 კილომეტრში პუტინის ტანკები რომ უკვე დგას, მათთვის თითქოს არაფერს ნიშნავს. ყვარელში უამრავი ახლობელი მყავს და აქციის მონაწილეების ვინაობა ვკითხე, მაგრამ ადგილობრივი ერთიც არ აღმოჩნდა. ყველა თბილისელი იყო, ამიტომ ორი ვერსია მაქვს: ან ეს აქცია საქართველოში „მოღვაწე“ პრორუსულმა ორგანიზაციებმა დაგეგმეს, ან არასამთავრობო ორგანიზაციის უკან პოლიტიკური ძალები დგას, რომლებსაც საკითხის გაბუქება და პროვოკაცია აწყობთ.

— მაინც რომელი ძალა?

— შეიძლება, ნაციონალებიც ყოფილიყვნენ...

— ორივე მხარეს ნაციონალები ხომ არ იქნებოდნენ?

— ტექნოლოგიის საკითხია, ყველაფერი შეიძლება ყოფილიყო. მსგავსი მეთოდები პოლიტიკაში აპრობირებულია და ამ საქმეში ნაციონალები პიონერები არ არიან. თავად ვარ მომსწრე, როცა საკუთარი ხელით დამწვარი მანქანის გამო პოლიტიკური სკანდალი ატეხეს...

— მაშინ, როცა მორიგი ეთნიკური კონფლიქტის გაღვივების საშიშროება დგას და აფხაზეთში განვითარებული მოვლენების გამეორებასაც პროგნოზირებენ, ხელისუფლება რას აკეთებს?

— ეს პერიოდი 90-იანი წლების დასაწყისში ერთხელ უკვე გავიარეთ, როცა არასწორი ინფორმაციის გავრცელებით, ზვიად გამსახურდიას გუნდმა საქმე პოლიტიკურ დაპირისპირებამდე მიიყვანა. მაშინაც ქართველებსა და ავარელებს შორის სერიოზული დაპირისპირება დაიწყო, რის გამოც დაღესტანთან ურთიერთობაც გამწვავდა. სწორედ ამ დღიდან მიეკერა ზვიად გამსახურდიას მთავრობას ნაციონალისტური იარლიყი. იგივე მოვლენების განვითარება დღეს არც ერთმა მხარემ არ უნდა დაუშვას. ვინც ამ პროცესების უკან დგას, ყველა დეტალი კარგად უნდა გაიაზროს და შემდეგ იმოქმედოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, კახეთის რეგიონში აფხაზეთი მონაგონი იქნება. ბუნებრივია, ნებისმიერი გზა, რომელიც ქვეყნის სატრანსპორტო ფუნქციას ზრდის, მისასალმებელია. გაჩნდება დამატებითი სამუშაო ადგილები და ადგილობრივებისთვის შემოსავლის წყაროც, მაგრამ ამ გზას, პირველ რიგში, პოლიტიკური დატვირთვა ექნება, რომელიც საქართველოს განვითარებას ხელს სერიოზულად შეუშლის. სხვათა შორის, ავარო-კახეთის გზა პირველი კი არა, მეხუთეა, რომლის მშენებლობასაც რუსეთი სამხრეთ მეზობელს არ უთანხმებს. აქედან ერთ-ერთი ყარაჩაი-ჩერქეზეთიდან მიმავალი გზა, რომელიც აფხაზეთში კოდორის ხეობის გავლით გადადის და რომლის სიგრძეც 270 კილომეტრია. აღსანიშნავია, რომ 2010 წელს მამისონის უღელტეხილამდე ინფრასტრუქტურა მოწესრიგდა და მასზე რუსებმა სამ მილიარდ რუბლზე მეტი დახარჯეს ანუ დღეს პირდაპირ შოვის თავზე რუსი მესაზღვრეები დგანან. ნაციონალური მოძრაობის ლიდერებს, მათ შორის, გრიგოლ ვაშაძეს მაშინ ხმა არ ამოუღიათ და არც ის გაუპროტესტებიათ, ქართველ მესაზღვრეებს რუსებმა 20 კილომეტრით რომ დაახევინეს უკან.

— ესე იგი, რუსები ნაციონალებთან შეთანხმებულნი იყვნენ?

— რუსებმა წინა ხელისუფლებაც ფაქტის წინაშე დააყენეს... კიდევ ერთი გზა როკის გვირაბთან აშენდა, მეოთხე გზა კი, პირდაპირ შატილამდე მოდის. მოკლედ, 2004 წლიდან ცნობილია, რომ რუსეთი ინფრასტრუქტურას პოლიტიკური მიზნებისთვის აშენებს.

— რუსეთი პოლიტიკურ მიზნებს დიდი ხანია არ მალავს და მალე ე.წ. სამხრეთ ოსეთსაც, ალბათ, თავის ნაწილად გამოაცხადებს...

— ნებისმიერი მოქალაქე რომ გამოვიდეს და მთავრობას საყვედური უთხრას, გავიგებ და გავიზიარებ, მაგრამ ნაციონალურ მოძრაობას ამ თემაზე საუბრის მორალური უფლება არ აქვს. ნაციონალებმა ყველაფერი გააკეთეს, „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის გეოპოლიტიკური სივრცე აღდგენილიყო. მეტიც, დაგებულ ხაფანგში თავი შეგნებულად გაყვეს და საბოლოოდ, ომში დამარცხდნენ.

კი ბატონო, მეც ვფიქრობ, ხელისუფლება ამ კუთხით პროაქტიური უნდა იყოს, მაგრამ რა მემკვიდრეობა დაუტოვეს ნაციონალებმა? ერთადერთი გზა დასავლეთზე აპელირება რჩება, მაგრამ სამწუხაროდ, 2008 წლის ომის შემდეგ საქართველომ ყოველგვარი ინიციატივის საშუალება დაკარგა. პირადად მე, ხელისუფლებას იმის გამოც ვსაყვედურობ, რომ სოხუმსა და ცხინვალში კულულარულად არ მუშაობს.

— პაატა ზაქარეიშვილი მინისტრად დანიშვნის დღიდან ამტკიცებს, რომ აფხაზებსა და ოსებთან კომუნიკაცია აღადგინა. თქვენ განსხვავებული ინფორმაცია გაქვთ?

— მხოლოდ ზაქარეიშვილი, რომელსაც 22-კაციანი სამინისტრო აბარია, ამ პრობლემას ვერ მოაგვარებს. ამისთვის ხელისუფლების ნებაა საჭირო. მთავარია, ქვეყანაში ისეთი კლიმატი შეიქმნას, როცა სრულიად საქართველო ქვეყნის გადარჩენასა და შესაბამისად, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე იქნება ორიენტირებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, დავიღუპებით. კონფლიქტურ რეგიონებში ხელისუფლების პოლიტიკა არაპროდუქტიულია...

— როგორც ვიცი, ცოტა ხნის წინ, მოსკოვში იმყოფებოდით. რა მისიით ჩახვედით?

— მოსკოვში, ოქტომბერში, შვეიცარიის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე, ქართულ-რუსული საერთაშორისო დიალოგის ფარგლებში ვიყავი...

— რა თქვეს რუსებმა?

— რუსეთი საკითხს ასე აყენებს — აფხაზეთსა და ცხინვალს ნუ შევეხებით, დანარჩენზე ვილაპარაკოთო.

— საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში ეს „დანარჩენი“ რა არის?

— სწორედ ესაა საკითხავი. ხომ გაგიგიათ, წყლის წვეთმა ქვა გახვრიტაო... ოკუპირებული ტერიტორიების საკითხი დღის წესრიგში ისევ უნდა დადგეს. მართალია, დღეს მოლაპარაკებები მხოლოდ ფრენისა და ღვინის დონეზე არ მიდის, მაგრამ, თუ საქართველოში ნატო-ს საწვრთნელი ბაზების მშენებლობა დაიწყება, 2006 წლის მოვლენების განმეორების საშიშროება დადგება.

— ნატო-ს საწვრთნელი ბაზების მშენებლობაზე გადაწყვეტილება უკვე მიღებულია. ამასთან, საქართველო ევროატლანტიკურ სტრუქტურასთან ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადადის და არ მგონია, ეს პროცესი შეფერხდეს...

— ეს მომავლის საკითხია, რადგან ჯერჯერობით, გადაწყვეტილება მხოლოდ ქაღალდის დონეზე არსებობს. მაშინ, როცა საქმე საქმეზე რეალურად მიდგება, შესაბამისი გადაწყვეტილებები და კონტრლონისძიებების მიშველება დასჭირდება.

— რას გულისხმობთ, ბატონო მამუკა?

— ამას ვერ ვიტყვი, რადგან გაზეთს, მოყვარესთან ერთად, სხვებიც კითხულობენ...

რუსეთს ეკონომიკურად მძიმე დღეები უდგას და, სამწუხაროდ, ჩვენ დასავლელ პარტნიორებს რუსების მენტალიტეტზე არასწორი წარმოდგენა აქვთ — ფიქრობენ, იქ მალე სოციალური ბუნტი დაიწყება, მაგრამ ასე არ მოხდება. რუსები საუკუნეებია ამ მდგომარეობაში არიან და ფსიქოლოგიურადაც მზად არიან, ეკონომიკურ ზეწოლას ბოლომდე გაუძლონ, თუმცა რუსეთი, როგორც სახელმწიფო, მის გარშემო არსებულ პოლიტიკურ-კონომიკურ მდგომარეობას ვერ გაუძლებს.

— ერთი სიტყვით, რუსეთის დაშლის იმედად უნდა ვიყოთ?

— არა, რუსეთი ისეთ კონდიციამდე უნდა მივიდეს, იძულებული გახდეს, დასავლეთის ნათქვამი შეისმინოს. ამის პერსპექტივა არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ პუტინი გაჯიუტებულია, ბზარები უკვე იგრძნობა. ამ ბზარების გაფართოების პროცესში კი საქართველოს სიბრძნე და სიდინჯე მართებს.

ქუთაისში ყველაზე იაფი სამშენებლო და სარემონტო მასალების ჰიპერმარკეტი „გორგია“ გაიხსნა

გახსნის ცერემონია ქუთაისში ჭავჭავაძის №8/4-ში გაიმართა და პირველ 100 მომხმარებელს „გორგიასგან“ სპეციალური საჩუქარი გადაეცა.

ჰიპერმარკეტი „გორგიას“ მენეჯმენტთან ერთად, ქუთაისის მერმა, შოთა მურღულიამ გახსნა. ჰიპერმარკეტის გახსნას იმერეთის გუბერნატორი ზაზა მეფარიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე დავით დვალი და 200 მოწვეული სტუმარი დაესწრო.

3000 კვადრატულ მეტრზე განთავსებულ ჰიპერმარკეტში, მომხმარებელს იტალიაში, თურქეთში, გერმანიაში და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში წარმოებული 20 000-მდე დასახელების პროდუქტის შეძენა შეეძლება.

„ჰიპერმარკეტის გახსნა ქუთაისში სამშენებლო და სარემონტო მასალებზე გაზრდილმა მოთხოვნამ განაპირობა. ჰიპერმარკეტში ასეულობით ახალი მიმართულება შევიტანეთ, რათა მომხმარებლისთვის მშენებლობა და რემონტი მაქსიმალურ კომფორტად ქცეულიყო. ჩვენ ერთ სივრცეში მოვაქციეთ ყველაფერი, რის შესაძენადაც მომხმარებელს სხვადასხვა მაღაზიაში და ბაზრობებზე სიარული უწევდა. ახალ ჰიპერმარკეტს სპეციალური საფასო პოლიტიკა აქვს და ჩვენ ასეულობით სამშენებლო და სარემონტო პროდუქტს საქართველოში ყველაზე დაბალ ფასად ვყიდით“, — აცხადებენ ჰიპერმარკეტ „გორგიაში“.

როგორც კომპანიის მენეჯმენტში განმარტავენ, ჰიპერმარკეტის ახალ კონცეფციაზე მუშაობა 6 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა და მისი განახლებისთვის მილიონ ლარამდე ინვესტიცია განხორციელდა. ჰიპერმარკეტის მაღალი სტანდარტების შესაბამისად მოწყობაზე, სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული უცხოელი სპეციალისტები მონაწილეობდნენ.

კომპანიის ინფორმაციით, ჰიპერმარკეტში 80-მდე ადამიანი დასაქმდა. თითოეული მათგანი ჰიპერმარკეტის ახალი კონცეპტის შესაბამისად გადამზადდა.

ჰიპერმარკეტ „გორგიას“ პირველი ობიექტი თბილისში, წერეთლის გამზირზე მდებარეობს და მომხმარებელს 25000-მდე დასახელების პროდუქტს საქართველოში ყველაზე ხელმისაწვდომ ფასად სთავაზობს.

გივი თარგამაძეს სამუდამო პატიმრობა ემუქრება?

კგბ-ს აგენტობასა და კორუმპირებულ ჩინოვნიკებთან კავშირში ეჭვმიტანილი ლეონარდო დევდარიანი სკანდალურ ფაქტებს ასაჯაროებს

ვანო პავლიაშვილი

...ამას წინათ, ნაციონალმა გივი თარგამაძემ ქართული „კოზა ნოსტრა“ „გაშიფრა“, ტენდერების სკანდალის უკან, ესა და ეს ადამიანი დგას და, საერთოდაც, ქვეყანა ასეთი რუსეთუმეებისგან იმართებაო. აბა, ამ შანსს ხელიდან ხომ არ გავუშვებდი და ერთ-ერთ „მხილებულს“ შეხვედრაზე შევუთანხმდი... ზუსტად 12 საათზე დათქმულ ადგილას ვარ... ოთახში ორი მამაკაცია. გუმანით ვხვდები, „სამიზნე“ ისაა, ფეხზე რომ დგას — ბლანჟე, ჯინსები... გივი თარგამაძის ლოგიკას თუ გავყვები, ჩემს წინ კგბ-ს აგენტი თუ არა, მინიმუმ, მაფიოზი დგას. ბუნებრივია, შევეკითხები, ყველაფერი, რასაც თქვენზე ამბობენ, სიმართლეა თუ არა-მეთქი, თუმცა... მიბოდიშებს, პრემიერის, მთავარი პროკურორის, პარლამენტისა და ომბუდსმენის სახელზე გასაგზავნ განცხადებაში ბოლო დეტალებს ვაზუსტებ და იქნებ, ორ საათში შეხვდეთო. ვთანხმდები... ორი საათი მალე გადის... ვსაუბრობთ ყველაფერზე, მათ შორის, იმაზეც, მეგობრები ლეონარდოს ეძახიან თუ ლეოს. ახლობლები ლეონარდოს მეძახიან, შვილიშვილები — ლეოს და შენ როგორც გინდა, ისე მომმართეო, — მეუბნება. ფამილარობაზე უარს ვამბობ და თბილისის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ხელმძღვანელს, რუსეთში საქართველოს ყოფილ სავაჭრო-ეკონომიკურ წარმომადგენელს, ლეონარდო დევდარიანს ათწლეულით უკან ვაბრუნებ და იმ პერიოდს ვახსენებ, ასლან აბაშიძემ საგანგებო დავალებათა მინისტრად რომ დანიშნა.

— ბატონო ლეონარდო, გივი თარგამაძე, მგონი, რევოლუციამდეც ვერ გიტანდათ... ეს კი არადა, ასლან აბაშიძემ განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრად რომ დაგნიშნათ, პეტრე მამრაძემაც, რომელიც მაშინ კანცელარიის უფროსი იყო, კრიმინალებთან კავშირში გამხილათ...

— სიმართლე გითხრათ, მინისტრად რომ დავინიშნე, არც მახსოვს, თარგამაძე არეალზე ჩანდა თუ არა...

— გივიც ჩანდა და პეტრეც...

— პეტრე მამრაძემ ეს სად თქვა?

— იმდროინდელ პრესაში... საერთოდ, თქვენს გამინისტრებას თბილისში დიდი აჟიოტაჟი მოყვა...

— მამრაძე ვინაა? — მისი აზრი სულ არ მაინტერესებს, მაგრამ ჩემო ვანო, შენ ყველაფერს ორი სიტყვით გეტყვი... მინისტრობამდე რუსეთში საქართველოს სავაჭრო წარმომადგენელი ვიყავი.

— ამ პოსტზე ვინ დაგნიშნათ?

— 1993 წლის დეკემბერში, აფხაზეთის ომის შემდეგ, შევარდნაძემ დამნიშნა.

— ომის დროს სოხუმის კომენდანტის პირველი მოადგილე იყავით, არა?

— დიახ... ესე იგი, მთელი ჩემი ასავალ-დასავალი გინდათ?

— ცხადია... ალბათ, იცით, რომ უხერხული კითხვებიც უნდა დაგისვათ...

— კი ბატონო... ისეთი საინტერესო ამბებია, რომ ჩემი ბიოგრაფიით განცვიფრდები...

— ბატონო ლეონარდო, ჩემი განცვიფრება ძნელია — 20 წელში ბევრ თქვენნაირს შევხვედრივარ!..

— მოდი, ასე მოვილაპარაკოთ: ჩემს ცხოვრებას მოგიყვები, თან პროკურატურაში შეტანილ განცხადებასაც გამოაქვეყნებ.

— კი ბატონო, ამაზე ხომ უკვე შევთანხმდით?! ასე რომ, გისმენთ...

— 1993 წელს, აფხაზეთში ომი შევარდნაძემ დაიწყო...

— საკუთარ ქვეყანაში პრეზიდენტს ომი როგორ უნდა დაეწყო?

— მომისმინე, ჩემო ძმაო... აფხაზეთში ომი შევარდნაძემ დაიწყო.

— ალბათ, გინდოდათ, გეთქვათ, ომი კიტოვანმა დაიწყოო...

— ცდები. კაცო, კიტოვანი ვინ იყო?.. მოკლედ, მე იმას გეუბნები, რაც ვიცი: შევარდნაძემ ომი იმიტომ დაიწყო, რომ ხელმძღვანელობისგან დავალება ჰქონდა მიღებული, საქართველო რუსეთისგან მოეწყვიტა. საქართველოს და რუსეთის მთელი კომუნიკაციები აფხაზეთზე გადიოდა. საბჭოთა კავშირი რომ დაინგრა, დასავლეთი ცდილობდა, ამიერკავკასიის რესპუბლიკები, ირანი და თურქეთი რუსეთისთვის მოეწყვიტა.

— საქართველო რუსეთს არ უნდა გამოყოფოდა?

— ამაზე ვინ დავობს, მაგრამ იმ მიზეზებს გეუბნები, რატომაც ომი დაიწყო — რუსეთისთვის იზოლაცია რომ გაეკეთებინა, შევარდნაძეს დაავალეს, აფხაზეთში ომი დაეწყო და ამის საბუთებიც მაქვს ნანახი.

— თუ იცოდით, რომ ომი შევარდნაძემ დაიწყო, აბა, კომენდანტის მოადგილეობაზე რატომღა დათანხმდით?

— მაშინ არ ვიცოდი...

— ჩვენც და აფხაზებსაც იარაღით რუსები გვამარაგებდნენ და ცხონებულმა შევარდნაძემ ომი შიშველი ხელებით დაიწყო?

— თითქოს რკინიგზის დასაცავად ტანკები გამოუშვა... ომი, ფიქტიურად, კიტოვანმა დაიწყო, თორემ ბრძანება შევარდნაძემ მისცა. საერთოდ, შევარდნაძეს შეეძლო, თავისი ფარული აზრები და მიზნები სხვისთვის, მით უმეტეს, კიტოვანისთვის მოეხვია... სამი დღე შევარდნაძე ტელევიზიით ამბობდა, არ ვიცი, კიტოვანი და ჯარი სადააო, მაგრამ ამას მთავარსარდალს ვინ დაუჯერებდა? იქ ყაჩაღობა მართლა ხდებოდა, მაგრამ ამის აღსაკვეთად ტანკები არ იყო საჭირო. საამისოდ შეეძლო, სპეცრაზმი გაეშვა, მაგრამ... ბევრი რამ ვიცი, თუმცა ამაზე ლაპარაკი არ მინდა. მოკლედ, დაიწყო ომი და შემოვიდა აფხაზეთში საქართველო.

— აფხაზეთიც საქართველოა და რას ნიშნავს, „საქართველო შემოვიდა“?

— საქართველო იურიდიულად იყო, თორემ იურისდიქცია არ ვრცელდებოდა, მაგრამ ამ ტერიტორიას არძინბა სად წაიღებდა? ბოლოს და ბოლოს, 250 ათასი ქართველი ვცხოვრობდით.

— ლეონარდო ბატონო, ამ ქართველების ნაწილი, როგორც ვიცი, ქართულადაც არ ლაპარაკობდა...

— ქართულად მე ვლაპარაკობ?

— კი, ოღონდ რუსული აქცენტით და ბევრი რუსული სიტყვის გამოყენებით...

— 20 წელია, რუსეთში ვარ და ქართული კი არა, ადამიანს შეიძლება, ის დაგავიწყდეს, გუშინ რა ჭამე... იქ საერთო ენა რუსული იყო, რაც ოდითგან მოდიოდა...

— ოდითგან ანუ ბაგრატიონების დროსაც აფხაზეთში რუსულად ლაპარაკობდნენ?

— ორი საუკუნეა, რუსეთის იმპერიაში ვართ და ეს ოდითგან არაა?

— არც ესაა ოდითგან და აღარც რუსეთის იმპერიაში ვართ!

— აფხაზეთი დავით აღმაშენებელმა მაშინ შემოიერთა, როცა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გააერთიანა. 21 საუკუნის განმავლობაში, საქართველო ერთიანი ორჯერ იყო — დავითისა და საბჭოთა კავშირის დროს.

— ბატონო ლეონარდო, ამ თემაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს, თუმცა რომ არ ვთქვა, გული გამისკდება: საბჭოთა კავშირი ჩვეულებრივი დამპყრობელი იყო და ასეთი ერთიანობა არ გაიშვა!

სწორედ ამ დროს, ოთახში ახალგაზრდა ქალბატონი შემოვიდა. გუმანით მივხვდი — ლეონარდო დევდარიანის ადვოკატი უნდა ყოფილიყო... მომხდურმა კომპიუტერში რაღაც სირბილ-სირბილით ნახა და გავარდა, სასამართლოში მივდივარო. მასპინძელმა შემომჩივლასავით, ერთი წელია, უკანონო ტენდერებს ვებრძვიო.

ლეონარდო დევდარიანი: — გივი თარგამაძემ ის დამაბრალა, რასაც მხოლოდ მე კი არა, პროკურატურაც ებრძვის... „ნიუ კონსტრაქშენში“ წილის ნაწილი კანდიდ კვიციანმა მომყიდა, რომელიც თარგამაძის მეგობარია...

— აფხაზეთზე ვსაუბრობდით...

— სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილე ვიყავი.

იმ დღეს, სოხუმში კიტოვანის ე.წ. ჯარი რომ შემოვიდა, ცოლთან ერთად, უცხოეთში მივდიოდი. ტანკები კელასურში შემხვდნენ. მივხვდი, ომი იწყებოდა და წასვლა გადავდე, რადგან არავის ეთქვა, გაიქცაო... ორი-სამი დღის შემდეგ დამიძახეს. მართალია, შევარდნაძეს არ ვიცნობდი, მაგრამ გაიკითხ-გამოიკითხეს, თან გია გულუა ნაღდი კაცი იყო, მაროდიორებს ებრძოდა და გვერდში დავუდექი.

— ამ დროს რუს გენერლებთან უკვე მეგობრობდით?

— არა, კაცო... მხოლოდ გრაჩოვს ვიცნობდი, თუმცა არ ვიცოდი, ვინ იყო.

— თუ იცნობდით, როგორ არ იცოდით, ვინ იყო?

— საბჭოთა ჯარი ოდესაში მოვიხადე... ერთხელ, საბჭოთა შეიარაღებული ძალების სპორტული შეჯიბრი ჩატარდა და გრაჩოვიც ჩამოვიდა, მაგრამ მაშინ არავინ იცნობდა. ლონდონურ სასტუმროში, გოგოების გულისთვის, ჩხუბი მოხდა და მაშინ გავიცანი... ახალგაზრდობაში მეც მოკრივე ვიყავი...

— ცხვირზე გეტყობათ!.. ისე, ბატონო ლეონარდო, ძალიან უცნაური იმიჯი გაქვთ — მაგალითად, ბლანჟეს ატარებთ. ამით ხელს იმ ხმას უწყობთ, რომ ამბობენ, დევდარიანი მაფიოზიაო?

— (იცინის) ბლანჟეს ნახევარი წელია, ვატარებ... სხვათა შორის, ქურდებისა და კრიმინალების პირველი მტერი ვარ. ქურდები მტრები მყავს!.. ქურდები საზოგადოებაში მიღებული რომ იყვნენ, პირველი ქურდი ვიქნებოდი! სახალხოდ ვამბობ: მიშას ერთ-ერთი ყველაზე დიდი დამსახურება ისაა, ბავშვს რომ ჰკითხო, ვინ გინდა გამოხვიდეო, აღარ იტყვის, კანონიერი ქურდიო. მიშა სააკაშვილის წინაშე ქუდს იმიტომ ვიხდი, რომ საქართველოში „ქურდული გაგება“ აღმოფხვრა. „ქურდული გაგების“ რომ ვიყო, ეს გამიხარდებოდა?

— რა ვიცი, გივი თარგამაძე სულ „კრიმინალების ბარონს“ გეძახით...

— მისი გჯერათ და ჩემი — არა?

— არც მისი მჯერა და არც — თქვენი!

— ჩემი უნდა გჯეროდეთ.

— ერთი საათია, რაც გიცნობთ და ვერ დაგიჯერებთ!.. მოკლედ, ბატონო ლეონარდო, მხოლოდ გივი თარგამაძე გებრძვით თუ მთელი ნაცმოძრაობა?

— მთელი ნაცმოძრაობა.

— თუმცა, ნაციონალებმა არ დაგიჭირეს...

— საქართველოში 2006 წლამდე ვერ ჩამოვდიოდი.

— ე.წ. 2006 წლის მერე, ურთიერთობა დაალაგეთ...

— მოვითხოვე, თუ დასაჭერი ვარ, დამიჭირეთ-მეთქი... მიშა, ხელისუფლებაში რომ მოვიდა, ბრძანება გასცა, ეს და ეს დაიჭირეთო და მეც დამასახელა. რუსეთში მცხოვრები ხალხი ჩვენი მტერიაო და ჩემი გვარიც „შეტენეს“...

— მაინც, ვინ „შეტენა“?

— კახა ლომაიამ, რომელიც ერთი პერიოდი, მოსკოვში, საქართველოს საელჩოში იყო, მაგრამ არ ვიცი, რა დავუშავე... ჟვანიამ გამაფრთხილა, რომ საქართველოში არ ჩამოვსულიყავი.

— ჟვანიასთან მეგობრობდით?

— არა. მთავრობაში ერთი მეგობარი მყავდა, სახელმწიფო მინისტრი ჯამბულ ბაკურაძე, რომელიც ჟვანიასთან ახლოს იყო. ჯამბულს დავურეკე და ვუთხარი, შევარდნაძის დროს ანუ მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი საკონსტიტუციო სასამართლოში დავიბარე, ათი წელი საქართველოში ვერ ჩამოვდიოდი და ახლა რა ვქნა-მეთქი... ჟვანიას ვკითხე და ასე თქვა, მაგის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვსო, მომიგო ბაკურაძემ. მეორე დღეს კი, უთენია, ისევ დამირეკა, ჟვანია შუაღამისას სახლში დამადგა და მითხრა, სააკაშვილს ვკითხე, ლეონარდოზე ხომ არაფერი გაქვსო და მიპასუხა, დაჭერაზე ბრძანება გავეციო. ლეონარდოს უთხარი, არ ჩამოვიდესო. მოკლედ, ჟვანია კაცურად მოიქცა.

— მოსკოვში მაშინ ბიზნესი გქონდათ?

— არა...

— არც კახა ლომაიას?

— არა და არ ვიცი, ლომაიამ მიშას „პადაჩა“ რატომ მიაწოდა... როცა მართალი ვარ, მიკიბ-მოკიბული ლაპარაკი არ მიყვარს. ბაკურაძესთან საუბრიდან რამდენიმე წლის შემდეგ, პრეზიდენტის კანცელარიაში დავრეკე და ხელმძღვანელს, გიორგი არველაძეს დაველაპარაკე.

— იცნობდით?

— არა... ავუხსენი, ვინც ვიყავი და რა პრობლემაც მქონდა. მითხრა, რამდენიმე დღეში დამირეკეო. დავრეკე და მითხრა, მიშასთან ერთად მთაში ვიყავი, ღამე კარავში დავრჩით და ვკითხე, მოსკოვში მცხოვრებ ქართველებს ჩამოსვლისკენ მოვუწოდებთ და ლეონარდო დევდარიანთან რა პრეტენზია გვაქვსო. მიშამ მიპასუხა, დაჭერის ბრძანება რამდენიმე წელია, გავეცი, მაგრამ არ ვიცი, რა ხდებაო და პროკურატურაში დამარეკინა, ყურმილი გამომართვა და აგინა, ამდენი წელი პასუხს რატომ არ მეუბნებითო. მერე, მომიტრიალდა და მითხრა, თქვენთვის გადმომეცა, რომ საქართველოში ჩამოსვლა შეგიძლიათო.

— მიშამ საქართველოში ჩამოსვლის ნებართვა დაგრთოთ და აგვისტოს ომშიც ეხმარებოდით, ახლა კი ამბობთ, ნაცმოძრაობა ჩემზე შურს იძიებსო. გამაგებინეთ, რა ხდება?

— მოდი, ხუთწუთიანი შესვენება გავაკეთოთ და ის განცხადება წაიკითხე, რომელიც პროკურატურაში შევიტანე.

— ვიდრე შევისვენებთ, ის მითხარით, თამაზაშვილთან რა კავშირი გაქვთ ანუ ადამიანი, რომელიც, თარგამაძის თქმით, თამაზაშვილის თანასაკნელია, თქვენი ძმისშვილია?

— არა, ეს მუკბანიანი, რომელიც ჩემი ნათესავის ქმარია და არაა იმის ღირსი, საერთოდ მასზე ვილაპარაკო, წელიწადნახევარია არ მინახავს და გაწყვეტილი მაქვს ყოველგვარი ურთიერთობა. რაც შეეხება ქურდებზე, მამაძაღლებსა და „პადლეცებზე“, ჩემი განწყობა ხომ გითხარი.

— ესე იგი, თქვენი ნათესავის ქმარი თქვენს წინააღმდეგ ნაციონალებს შეეკრა?

— ნაციონალებთან კი არა, „ნიუ კონსტრაქშენთან“ თანამშრომლობს, სადაც კანდიდ კვიციანმა წილი მომყიდა.

— ბატონო ლეონარდო, გივი თარგამაძე ამტკიცებს, რომ „კაგებეშნიკი“ ხართ. ფაქტია, რუსულ გენერალიტეტს იცნობთ...

— ელცინსაც ვიცნობდი, მერე, რა მოხდა?

— პუტინიც გეცნობებათ...

— არა...

— მე კი ვიფიქრე, ამ ორიგინალურ საათს ვლადიმერი აჩუქებდა-მეთქი...

— (იცინის) ბუშმა მაჩუქა... ისე, ექსკლუზიური საათია — მხოლოდ ერთია გამოშვებული და ხომ ხედავ, რა აწერია — „ლეონარდო“...

— რუსულ სპეცსამსხურებთან რა საერთო გაქვთ?

— რა სპეცსამსახური?.. გრაჩოვია სპეცსამსახური?..

— რუსი გენერალი იყო!

— მისი შვილის ნათლია ვარ... გრაჩოვის წყალობით, მთელი გენერალიტეტი გავიცანი და, თაღლითმა თარგამაძემ ახალგორი რომ ჩააბარა, მე დავაბრუნებინე, მაგრამ უარი მითხრეს.

— უარი ვინ და რაზე გითხრათ?

— ახალგორის დაბრუნებაზე უარი თარგამაძემ და სააკაშვილმა მითხრეს.

— რატომ?

— ახალგორი გაყიდეს.

— რამდენად?

— დასავლეთიდან სამ მილიარდზე მეტი გრანტი გამოყვეს, რომ დევნილებისთვის სახლები აეშენებინათ, მაგრამ მერაბიშვილმა

ეს სახლები ადგილობრივ ბიზნესმენებს უფასოდ ააშენებინა. ამიტომ, პროკურატურისგან ვითხოვ, სააკაშვილის, თარგამაძის, ლომაიასა და უგულავას მოღალატეობრივი საქმიანობა გამოიძიოს.

— მათ ღალატს როგორ ამტკიცებთ?

— 2008 წლის აგვისტოს ცნობილი მოვლენების დროს, როგორც საქართველოს ერთგული შვილი, აფხაზეთის ომის დროს სოხუმის სამხედრო კომენდანტის მოადგილე და პატრიოტი, მოსკოვიდან საქართველოში სპეციალურად ჩამოვედი, იმ ავადმოსაგონარ მოვლენებში ჩავერთე და ჩემი თვალით ვნახე ნაცმოძრაობის უმაღლესი თანამდებობის პირების, პირველ რიგში, პარლამენტის თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარის, გივი თარგამაძის მოღალატური ბრძანებები და ქმედებები... სააკაშვილის ხელისუფლებამ და, ცხადია, თარგამაძემაც არათუ ცოცხალი, მიცვალებული თანამოქალაქეებიც დაივიწყა და მხოლოდ მოპარული ფულისა და საკუთარი ოჯახების გახიზვნით იყვნენ დაკავებულნი, თან რუსთაველზე საკუთარ სამარცხვინო „გამარჯვებას“ ზეიმობდნენ. ამიტომ, ჩემი ავტორიტეტითა და რუსეთის არმიის გენერალიტეტთან მეგობრული კავშირებით, დაღუპული ქართველი ჯარისკაცების გადმოსვენებისა და 80-ზე მეტი დატყვევებული ქართველი მეომრის რუს სამხედროებზე გაცვლის ორგანიზება გავაკეთე. გორიდან, ტელეფონით, იმჟამინდელ სახელმწიფო მინისტრ ჯამბულ ბაკურაძეს მიცვალებულების გადმოსასვენებლად საჭირო რეფრიჟერატორები ტელეფონით ვთხოვე და საპატრიარქოს შევატყობინე, რუსული მხარე მზადაა, დაღუპული ჯარისკაცები გადმოგვცენ-მეთქი. მეორე დღეს, გორში ერის სულიერი მამა, უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე ჩამობრძანდა, რომელსაც მე და გენერალი ბორისოვი შევხვდით. პატრიარქმა ლოცვა-კურთხევა მოგვცა და ჯვრებით დაგვასაჩუქრა. დაღუპული ჯარისკაცები უწმინდესმა თბილისში გადმოასვენა... დილის 11 საათზე კი, ჩემს მიერ ორგანიზებული და დანიშნული ტყვეთა გაცვლა გივი თარგამაძემ ჩაშალა და რუსეთის არმიის სარდლობას, რომელიც საქართველოს ტერიტორიას უკვე იგოეთამდე აკონტროლებდა, ულტიმატუმი წაუყენა.

— მაინც, რა ულტიმატუმი?

— პირველი: ახალგორის რაიონი, საიდანაც ნაციონალური ხელისუფლება და პოლიცია გამოიქცა, საქართველოს იურისდიქციაში დაებრუნებინათ. იქ შევიდნენ ოსური ბანდფორმირებები და მაროდიორები, დაიწყო თარეში და განუკითხაობა...

გორში, საოკუპაციო ჯარის სარდალთან, გენერალ ვიაჩესლავ ბორისოვსა და რუსეთის არმიის გენერალიტეტ-სარდლობასთან ჩემი კომუნიკაციით, გენერალმა ბორისოვმა რუსეთის გენერალური შტაბის უფროსის, არმიის გენერლის, ნიკოლოზ მაკაროვისაგან მიიღო ბრძანება, ახალგორში რაზმი გაეგზავნა და რაიონი ბანდიტური დაჯგუფებებისა და მაროდიორებისგან გაეწმინდა, ახალგორი საქართველოს იურისდიქციაში დაებრუნებინა და იქ ქართული დროშა აღმართულიყო, თუმცა პირადად გივი თარგამაძის მითითებით, გადმომცეს ბრძანება, ახალგორის რაიონის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნება სასწრაფოდ უკან „გადამეთამაშებინა“ და რუსეთის სარდლობისათვის უარი მეთქვა. ჩემს გაოგნებულ კითხვაზე, რატომ უნდა „გადამეთამაშებინა“ ახალგორის დაბრუნება, აღშფოთებულმა ერეკლე კოდუამ მითხრა, რომ პოლიტიკოსებმა, კერძოდ, თარგამაძემ გადაწყვიტეს, ახლა ასეა საჭირო და ეს ჩვენ გვჭირდებაო.

მეტიც, ახალგორის რაიონის ოსი ბანდიტებისაგან გასაწმენდად გაგზავნილ რუსულ რაზმს, სოფელ ლამისყანის გადასახვევთან, გივი თარგამაძის ბრძანებით, საპატრულო პოლიციის მანქანებმა გზა ჩაუხერგეს, რათა მათივე ულტიმატუმი არ შესრულებულიყო... ამ სახელმწიფოს ინტერესების ღალატის ორგანიზატორი პირადად გივი თარგამაძე და სააკაშვილის ხელისუფლება იყო. დიახ, ძირძველი ქართული მიწა — ახალგორის რაიონი ე.წ. ეროვნულმა მოღალატე ხელისუფლებამ არ დაიბრუნა! სამაგიეროდ, აშშ-ს მთავრობისა და ევროსტრუქტურებისგან მიიღეს 3 მილიარდ დოლარამდე. ვსვამ კითხვებს: ამ თანხიდან რამდენი მოხმარდა ახალგორიდან 30 ათასი დევნილის სოციალური პრობლემების გადაწყვეტას? რა თანხა ჩაიდეს გივი თარგამაძემ და სხვებმა ელიტური კორუფციის სახით? რამდენად გამდიდრდა პირადად გივი თარგამაძე და ნაცმოძრაობის ბოსები ახალგორის გაყიდვით?

ნათლად ჩანს, რომ თარგამაძემ, სააკაშვილმა და მათმა ხროვამ საქართველოს ტერიტორიების და ათიათასობით გაუბედურებული ადამიანის — დევნილების ხარჯზე, თავისი ბინძური ბიზნესი გააკეთეს. მათი ქმედება შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 308-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებს: 1. საქართველოს საწინააღმდეგო მოქმედება, მიმართული უცხო ქვეყნისათვის საქართველოს მთელი ტერიტორიის ან მისი ნაწილის გადაცემისაკენ, ანდა საქართველოს ტერიტორიიდან მისი ნაწილის გამოყოფისაკენ — ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე. 2. იგივე ქმედება, რამაც საქართველოს მთელი ტერიტორიის ან მისი ნაწილის დაკარგვა ანდა სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია, ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით 15-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

საქართველოს ფუნდამენტალური ინტერესების წინააღმდეგ, სააკაშვილის, თარგამაძის, ლომაიას, უგულავას და სხვათა დანაშაულებრივ ქმედებებზე, 2012 წლის 5 ნოემბერს, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლიდან ერთ თვეში, საჯაროდ მივმართე მთავარ პროკურორს, კბილაშვილს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე უსუფაშვილს და იუსტიციის მინისტრ წულუკიანს, დავეკითხე და დაეწყოთ გამოძიება, მაგრამ ამაოდ — 2 წელზე მეტია, ამ ფაქტებს ყურად არავინ იღებს, რამაც „თარგამაძესა და კომპანიას“ გაუჩინა პატიებისა და დაუსჯელობის სინდრომი. მეტიც, გათამამებული თარგამაძე ცილისწამების, ბინძური ჭორებისა და ცრუ დასმენების რუპორი გახდა. ამ სიბინძურეს, სამწუხაროდ, პასუხი დღემდე ერთმა ადრესატმაც არ გასცა და დაუსჯელობის ეიფორიით გათამამებულმა, ჩემზე — მათი მოღალატური ქმედებების გამსაჯაროებელზე და ცოცხალ მოწმეზე შურისძიება გადაწყვიტეს, რა მიზნითაც, 2014 წლის 7 დეკემბერს, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის საღამოს ეთერში, პარლამენტარმა თარგამაძემ საჯაროდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაული — უცხო ქვეყნის სადაზვერვო სამსახურში ყოფნა დამაბრალა, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 311-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულია და სასჯელის ზომად თავისუფლების აღკვეთას 7-დან 15-წლამდე ითვალისწინებს. 2014 წლის 9 დეკემბერს, გივი თარგამაძემ იგივე „რუსთავი 2“-ის გადაცემა „არჩევანში“ გაიმეორა, ვიდრე ფესბ შეიქმნებოდა, თითქოს „კაგებეშნიკი“ ვიყავი. თარგამაძის ქმედება, ჩემი პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის საჯაროდ შელახვის გარდა, შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლით (ცრუ დასმენა ანგარებით და პირადი მოტივით) და ითვალისწინებს სასჯელს, ვადით 4-დან 6-წლამდე. მინდა, ცრუ და ბინძური ბრალდებების ავტორ თარგამაძეს ვკითხო: თუ ამ უწყების „ღია კადრი“ ვარ, რატომ თანამშრომლობდა ჩემთან თვითონ, როგორც პარლამენტის თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის იმჟამინდელი თავმჯდომარე, ასევე მისი პრეზიდენტი სააკაშვილი, შს მინისტრი მერაბიშვილი, უშიშროების საბჭოს მდივანი ლომაია და სხვები? რატომ მეხვეწებოდნენ რუსეთის არმიის გენერალიტეტთან დაკავშირებას და მათ მიერ მიტოვებულ-მიყრილი და რუსული არმიის მიერ ხელში ჩაგდებული ას ერთეულზე მეტი მძიმე სამხედრო ტექნიკისა თუ სხვა უამრავი შეიარაღების დასაბრუნებლად განუსაზღვრელი რაოდენობის ფულს რატომ მთავაზობდნენ?.. მათი თხოვნით, გენერალ ბორისოვს მივატოვებინე არმია და წამოვიყვანე საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, მცხეთაში, მერაბიშვილთან მოსალაპარაკებლად, მაგრამ აშშ-ს სახელმწიფო მდივნის, კონდოლიზა რაისის ჩამოსვლამ გამოიწვია სააკაშვილის მიერ მერაბიშვილის სასწრაფოდ უკან გაწვევა. გენერალ ბორისოვს ჯარის მიტოვება და მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე გადასვლა კარიერის ფასად დაუჯდებოდა და სამხედრო ტრიბუნალი გაასამართლებდა, მაგრამ ეს ჩემი პატივისცემითა და ნდობით გააკეთა და არა — მოღალატე თარგამაძის. რომ არა მერაბიშვილის უკან გაწვევა, გენერალ ბორისოვთან მოლაპარაკებული ვიყავი, ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებაზე, მხარეების დაშორიშორებასა და რუსული არმიის უკან დაბრუნებაზე, რაზეც მას უფლებამოსილება ჰქონდა. ეს რომ მომხდარიყო, სარკოზის ჩარევა და საქართველოსთვის წამგებიანი, კაბალური შეთანხმების დადება საჭირო აღარ გახდებოდა, მით უმეტეს, სააკაშვილმა შეთანხმებიდან ამოაღებინა მე-6 პუნქტი, რაც ოსეთისა და აფხაზეთის სტატუსზე მოლაპარაკების გაგრძელებას ითვალისწინებდა. მე-6 პუნქტის ამოღებამ განაპირობა რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება. თარგამაძემ ჩემი „კაგებეშნიკობა“ მაშინ არ იცოდა თუ მათი სიცოცხლისა და უსაფრთხოების გარანტი ვიყავი და ბუჩქებში შემალულები ამის გამო მელაქუცებოდნენ? ან თუ იცოდა, რატომ დაუმალა ხელისუფლებას, რატომ არ გააფრთხილა პრეზიდენტი და სხვები, რომ ჩემთან ურთიერთობა არ შეიძლებოდა?!

ამ ბინძური ცრუ ბრალდების გარდა, თარგამაძემ დაასახელა ჩინოვნიკები, რამდენიმე სავარაუდო კორუფციული სქემა წარმოადგინა და ერთ-ერთ ტენდერში გამარჯვებულ კომპანია „ნიუ ქონსთრაქშენთან“ ერთად მომიხსენია, ყოფილ და მოქმედ ჩინოვნიკებთან, კერძოდ, სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილე ბესო დევდარიანსა და ზაზა მუკბანიანთან კორუფციულ გარიგებებში დამდო ბრალი. მუკბანიანი მოიხსენია როგორც პრემიერის სიმამრის თანამოსაკნე, ხოლო ბესო დევდარიანს საერთოდ არავითარი შემხებლობა არა აქვს ტენდერებთან.

2013 წლის 19 მარტს, ნაცმოძრაობის ყოფილი დეპუტატის, კანდიტ კვიციანისაგან შპს „ენგური-2006“-ში წილის ნაწილი ვიყიდე. ეს შპს მოგვიანებით გახდა შპს „ნიუ ქონსთრაქშენი“. ამავე საწარმოში 47,5 % წილი ეკუთვნის პარტნიორსა და დირექტორს, რეზო ჭკადუას, 5% — მესამე პარტნიორს, კ. კვიციანის დისშვილ ადილარ ჩართოლანს. მე კი წილობრივ უმცირესობაში ვარ.

როგორც გავარკვიე, შპს „ენგური 2006“-ის (ამჟამად შპს „ნიუ ქონსთრაქშენი“) ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, 2012 წლის ნოემბრიდან, ყალბი საგადასახადო ანგარიშფაქტურების დამზადებისა და მითვისების ფაქტებზე, დაწყებულია გამოძიება და დღემდე მიმდინარეობს. დირექტორ ჭკადუას, წერილობით, დაუყონებლივ მოვთხოვე საწარმოს საბუღალტრო დოკუმენტაცია, რათა სიტუაციაში გავრკვეულიყავი და სავარაუდო კანონდარღვევები აღმომეფხვრა — შევიტყვე, რომ საწარმოში ნაღდი ფული ტრიალებდა და დივიდენდებს მიმალავდნენ. პარტნიორები ჩემს მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციას დღემდე მალავენ. მეტიც, ჩემს წინააღმდეგ მოაწყვეს დომინანტური შეთქმულება და გაურიგდნენ ზაზა მუკბანიანს, კანდიტ კვიციანსა და ჩემი მოშორება გადაწყვიტეს — სასამართლოში სარჩელი შეიტანეს, მოითხოვეს ჩემი გარიცხვა და წილის წართმევა, ასევე, წილის ნასყიდობის ბათილად ცნობა, რის გამოც გამოვიყენე მეწარმეთა კანონით მონიჭებული უფლება და 2014 წლის 24 ივლისს, მოვიწვიე პარტნიორთა კრება და დირექტორი ჭკადუა თანამდებობიდან გადავაყენე, რაც გაასაჩივრეს და ამჟამად დავა სასამართლოში მიმდინარეობს.

თარგამაძემ, მისი თანაგუნდელის, კვიციანის კვალის დაფარვის მიზნით, შპს „ენგური-2006“-ს მაგიერ, გადაცემაში არ არსებული შპს „ეგრისი-2006“ ახსენა. საინტერესოა, რამდენი მიიღო თარგამაძემ ისრების ჩემკენ გადმოსროლაში და თანაგუნდელების კვალის დაფარვაში, რომლებსაც პროკურატურა ორი, მე და სასამართლო კი ერთი წელია, ვებრძვით?

ვადასტურებ, რომ მე თვითონ გამოვდივარ ნებისმიერი კორუფციული გარიგებების წინააღმდეგ, მსგავს ქმედებებში მონაწილეობა არასდროს მიმიღია და მსგავსი ფაქტების მიმართ ვარ შეურიგებელი...

საქართველოს პარლამენტის წევრმა, თარგამაძემ საჯაროდ დამაბრალა მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, ჯგუფურად კორუფციულ დანაშაულში მონაწილეობა და უცხო ქვეყნის სადაზვერვო სამსახურში ყოფნა, რის გამოც პროკურატურისგან მოვითხოვ: 1. მიმართოთ კანონით დადგენილი წესით საქართველოს პარლამენტს, პარლამენტის წევრს გივი თარგამაძეს მოეხსნას პარლამენტის წევრის იმუნიტეტი და პასუხი გასცეს გამოძიების შეკითხვებს, რათა გამოძიებას საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენაში ხელი არ შეეშალოს. 2. თარგამაძის, სააკაშვილისა და სხვათა მიმართ, საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევის ფაქტზე, დაიწყოს გამოძიება, სისხლის სამართლებრივი დევნა და მიეცეს პასუხისგებაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 308-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს უვადო თავისუფლების აღკვეთას. 3. დაუყონებლივ დაიწყოს გამოძიება, „რუსთავი 2“-ის ეთერში თარგამაძის მიერ დასახელებულ ფაქტებზე, ჩატარდეს სრულყოფილი გამოძიება, დადგინდეს, რა კავშირი მაქვს ხსენებულ ზაზა მუკბანიანთან, ტენდერებთან ან სხვა თანამდებობის პირებთან მაშინ, როცა ერთი წელია, პარტნიორები ახლოსაც არ მაკარებენ საწარმოს საქმიანობას, ცდილობენ, გამრიცხონ საზოგადოებიდან, წამართვან და მიისაკუთრონ ჩემი წილი და ამ გზით მომიშორონ თავიდან, როგორც მათ საქმიანობაში ხელის შემშლელი პერსონა... 4. თარგამაძე ჩემს წინააღმდეგ გამოთქმული უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი ბრალდების გამო, მიეცეს პასუხისგებაში, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლით, ცრუ დასმენისათვის, რასაც თან ერთვის მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაბრალება, უცხოეთის სადაზვერვო სამსახურში შესვლის სახით, რომელიც სასჯელის სახით, ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 7-დან 15 წლამდე. 5. სასწრაფოდ ჩაუტარდეს თარგამაძეს სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა, ვინაიდან მისი განცხადებები და ქცევები მის შერაცხადობაზე სერიოზულ ეჭვს ბადებს. 6. გთხოვთ აღნიშნულთან დაკავშირებით დაკითხოთ იმჟამინდელი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, გენერალური შტაბის უფროსი ზაზა გოგავა, შს მინისტრი ივანე მერაბიშვილი, გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი, სახელმწიფო მინისტრი ჯამბულ ბაკურაძე, სოდ-ის უფროსი გენერალი ერეკლე კოდუა, გენერალი ანზორ მარგიანი, პოლკოვნიკი ვლადიმერ ჯუღელი, კასპის პოლიციის იმჟამინდელი უფროსი დიმიტრი დარბაისელი, ახალგორის პოლიციის უფროსი და უშიშროების საბჭოს მდივანი ალექსანდრე ლომაია.

ზემოხსენებული განცხადება, როგორც „ვერსიას“ უთხრა, ლეონარდო დევდარიანმა მთავარ პროკურატურაში უკვე შეიტანა. ამასთან, დევდარიანი მთავრობისა და პარლამენტის ხელმძღვანელებისგან გაერთიანებული სამთავრობო-საპარლამენტო კომისიის შექმნასაც ითხოვს, რომელიც აგვისტოს ომს პოლიტიკურ-სამართლებრივ შეფასებას მისცემს. „ეს ყველა მომდევნო ხელისუფლებისთვის მაგალითი იქნება, რომ მსგავს ცდუნებას აღარ აყვეს“, — აცხადებს დევდარიანი.

2015 წლიდან საქართველო ციფრულ მიწისზედა საეთერო მაუწყებლობაზე გადადის

2015 წლიდან საქართველო მაუწყებლობის ახალ ფორმატზე გადადის. არსებულ ანალოგიურ მიწისზედა მაუწყებლობას ციფრული ჩაანაცვლებს. პროექტის განხორციელება საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების წევრი ქვეყნების, მათ შორის საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებას წარმოადგენს.

პროექტის განსახორციელებლად მთავრობა სხვადასხვა მიმართულებით აქტიურად მუშაობს. ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი სოციალურად დაუცველი ოჯახების სუბსიდირებაა.

რეფორმის პროცესში, რა თქმა უნდა, გათვალისწინებულია ეთნიკური უმცირესობების ინტერესები — მომზადებულია მრავალენოვანი საინფორმაციო ბუკლეტები, რომლებიც თითოეულ ოჯახს გადაეცემა.

მაუწყებლობის ახალ ფორმატზე გადასვლასთან დაკავშირებით, მოსამზადებელი სამუშაოები დასასრულს უახლოვდება. მთავრობის მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად, არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. მიღწეულ შედეგებზე „ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს“ ხელმძღვანელმა, ნინო ქუბინიძემ 2014 წლის შემაჯამებელ ანგარიშში ისაუბრა.

ქუბინიძის განცხადებით, **გამოვლინდა საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამებისთვის განკუთვნილი სახელმწიფო მულტიპლექს პლატფორმის მშენებელი კომპანია, დასრულდა ციფრული მიწისზედა სიგნალის მიმღები აპარატურის ე.წ. სეთ-თოფ ბოქსების შესყიდვის პროცესი და საინფორმაციო კამპანიის დაწყებისთვის საჭირო ყველა ღონისძიება (მათ შორის ცხელი ხაზის მოწყობა, ვიდეორგოლებისა და ბეჭდვითი მასალების დამზადება და ა.შ). საინფორმაციო კამპანიის აქტიური ფაზა 2015 წლის იანვრიდან დაიწყება.**

„მნიშვნელოვანია, რომ რეფორმის პროცესში, ადგილობრივ ექსპერტებთან ერთად, ჩვენს გვერდით არიან ევროპის რეკონსტრუქციასა და განვითარების ბანკის კონსულტანტები. ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ თავიდან აგვეცილებინა უხარისხო პროდუქციის მიღების რისკები და განხორციელებულიყო სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების რაციონალური ხარჯვა. ვფიქრობ, ყველა წინაპირობაა შექმნილი საიმისოდ, რომ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა უმტკივნეულოდ განხორციელდეს“, — აცხადებს ქუბინიძე.

რეფორმის მიმდინარეობა დადებითად შეაფასეს უცხოელმა პარტნიორებმა: ROHDE-SCHWARZ-მა, ALCATEL-LUCENT-მა, ELTI-მ, IMAGINE-მა, GATESAIR-მა და სხვა კომპანიის წარმომადგენლებმა.

„ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს“ ხელმძღვანელმა ჩინურ კომპანია KONKA-სთან გაფორმებულ ხელშეკრულებაზეც ისაუბრა.

„ტექნიკის მომწოდებელ ჩინურ კომპანია KONKA-სთან უკვე გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის მიხედვით სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის მთავრობა 210858 „სეთ-თოფ ბოქსს“ შეისყიდის. აღნიშნული კომპანია ერთ-ერთი უძლიერესია, რომელიც ჩინეთში სამომხმარებლო ტექნიკის მწარმოებელი კომპანიების პირველ სამეულში შედის“.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) ექსპერტი და კომერციული ქსელის მშენებელი კომპანიის დამფუძნებელი ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს მუშაობას ასევე დადებითად აფასებენ და მიღწეულ შედეგებზე საუბრობენ.

„ცნობილია, რომ დასრულდა ციფრული მიწისზედა სიგნალის მიმღები აპარატურის ე.წ. სეთ-თოფ ბოქსების შესყიდვის პროცესი. სააგენტოს მუშაობის შედეგად, აღნიშნულ სამომხმარებლო ტექნიკაზე დღეს ჩვენ გვაქვს ბევრად დაბალი ფასი, ვიდრე ეს დადგენილი იყო პირველადი სტრატეგიით“, — აცხადებს უჩა სეთური.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს ხელმძღვანელმა სამომხმარებლო ტექნიკის იმპორტიორებთან გამართა.

მოწვევას გამოეხმაურა 20-მდე დაინტერესებული კომპანია, მათ შორის — „ალტა“, „ბეკო“, „ ელიტ ელექტრონიქსი“. „ვეს-ტელი“, „მეტრომარტი“, „მეგატექნიკა“, „ელექტროტექნიკა“, 7 channel, cshop.ge, orient logic, teqnobboom, okey, itechnic, UGT, LGL, AGM და სხვა.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო რეფორმასთან დაკავშირებულ პროცესებს, სამომხმარებლო აპარატურის ტექნიკურ სპეციფიკაციებს, ალტერნატიულ მოდელებს, პროდუქციის ხარისხის მნიშვნელობას, სააბონენტო ბაზარს, სეთ-თოფ ბოქსების სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებული მოსამზადებელი სამუშაოების მსვლელობასა და არსებულ მდგომარეობას.

„ეს გახლავთ კომპლექსური პროცესი, რომელიც განვითარებულმა ქვეყნებმა რამდენიმე წლით ადრე დაიწყეს. ITU-ს მონაცემებზე დაყრდნობით, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასასვლელად ინგლისს — 14 , ამერიკას — 13 , შვედეთს, გერმანიას, საფრანგეთსა და სხვა განვითარებულ ქვეყნებს 6-8 წელი დასჭირდათ. საქართველოს რეფორმის დასრულებამდე გარკვეული დრო დარჩა, შესაბამისად, ბაზარი დროულად უნდა მომზადდეს ცვლილებისთვის. ამასთან მნიშვნელოვანია, აღნიშნულ პროცესში დაცული იყოს, როგორც მომხმარებლების უფლებები, ასევე მიმწოდებელთა ინტერესები“, — აღნიშნა ქუბინიძემ.

მისივე თქმით, სასურველია, სამომხმარებლო ტექნიკის მომწოდებელმა მაღაზიებმა, შეძლებისდაგვარად დაიწყონ მზადება, რათა ახალი წლიდან შესთვაზონ მყიდველს ციფრული სიგნალის მიმღები სპეციალური მოწყობილობები და ტელევიზორები.

სააგენტოს ხელმძღვანელმა ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო პლატფორმების მშენებლობასა და ამ მიმართულებით სახელმწიფოსა და კომერციული ქსელის მშენებელი კომპანიის ვალდებულებებზეც გაამახვილა ყურადღება:

„სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ერთი მულტიპლექს პლატფორმა, რომელშიც მოიაზრება, როგორც ციფრული მიწისზედა რადიოგადამცემი, ასევე მიკროტალღური სატრანსპორტო ქსელები და განათავსოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ყველა პროგრამა, მათ შორის — პირველი და მეორე არხები და აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის არხი. ხოლო კომერციულ ოპერატორს ვალდებულების სახით აღებული აქვს, ააშენოს სამი მულტიპლექს პლატფორმა და გადასცეს არსებული ყველა ღია საეთერო, ეროვნული პროგრამა, მათ შორის „რუსთავი 2“, „იმედი“, „პირველი სტერეო“ და სხვა მაუწყებელთა კონტენტი“, — განაცხადა ქუბინიძემ.

შეხვედრაზე სავაჭრო ქსელების წარმომადგენლებმა საკუთარ ბიზნესინტერესებზე გაამახვილეს ყურადღება და დაინტერესდნენ — მოსალოდნელია თუ არა მთავრობის მხრიდან რაიმე ტიპის შეზღუდვების დაწესება. ქუბინიძემ აღნიშნა, რომ **ბიზნესი თავისუფალია და, შესაბამისად, ამ პროცესში მთავრობა მხოლოდ რეკომენდატორის როლს შეასრულებს.**

შეხვედრის მსვლელობისას, კომპანიების წარმომადგენლები ასევე დაინტერესდნენ საკაბელო ტელევიზიების კონკურენტუნარიანობით. დავით ზილფიმიანის განმარტებით, ანალოგიური და ციფრული მიწისზედა მაუწყებლობა, არ შეიძლება მოიაზრებოდეს სატელიტური, საკაბელო ან სხვა სატელევიზიო პლატფორმების კონკურენტად.

„ევროპულმა პრაქტიკამ აჩვენა, რომ სატელიტურ და საკაბელო ტელევიზიებს, ანალოგიურიდან ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობაზე გადასვლის შემდეგ, პროცენტულად იგივე რაოდენობის მომხმარებელი რჩება, რამდენიც რეფორმამდე ჰყავდა, ამიტომ ეს პროცესი მათ ბიზნესინტერესებზე უარყოფითად არ აისახება, ისინი არ არიან ერთმანეთის კონკურენტები“, — განაცხადა „სტერეო პლუსის“ დამფუძნებელმა.

პროცესების გამჭვირვალობა და საზოგადოების მაქსიმალური ინფორმირებულობა სააგენტოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. სწორედ ამ მიზნით მიმდინარე წლის 9-10 დეკემბერს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „ციფრული მაუწყებლობის სააგენტომ“ სასტუმრო „ძველ თბილისში“ მაუწყებლებისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიისთვის სემინარი გამართა.

ღონისძიება, რომელსაც რეგიონული მედიის 70-მდე წარმომადგენელი ესწრებოდა, საქართველოში ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებული საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში მოეწყო.

მოხსენებებისა და პრეზენტაციების შემდეგ ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობის, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დეპარტამენტის ინფოკომუნიკაციების სამმართველოს უფროსმა ეკა ყუბუსიძემ, ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს თავმჯდომარემ ნინო ქუბინიძემ, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სტრატეგიული დეპარტამენტის უფროსმა თიკო ტყეშელაშვილმა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა ნიკო აბზიანიძემ, კომერციული ქსელის მშენებელი კომპანიის „სტერეო +“ დამფუძნებელმა დავით ზილფიმიანმა, ასევე რეგიონულ მაუწყებლთა ასოციაციის თავმჯდომარემ, ნათია კუპრაშვილმა და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) ექსპერტმა, უჩა სეთურმა.

შეხვედრა ინტერაქტიულ რეჟიმში წარიმართა. საუბარი შეეხო რეფორმასთან დაკავშირებულ პროცესებს, მათ შორის საკანონმდებლო რეგულაციებს, სახელმწიფო სუბსიდირების პოლიტიკას, ტექნოლოგიურ სტანდარტებს, მულტიპლექს პლატფორმებს, ტელემაუწყებლების ბაზარზე დაშვებისა თუ ღია საეთერო ქსელში განთავსების საკითხებს.

როგორც სემინარზე აღინიშნა, **ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შემდეგ იცვლება საკანონმდებლო რეგულაციები. შემუშავებული ცვლილებების პროექტით უქმდება ტელემაუწყებელთა ლიცენზირების წესი, რომელსაც ბაზარზე დაშვების გამარტივებული ფორმა — ავტორიზაცია ჩაანაცვლებს.**

სემინარის მიმდინარეობისას ჟურნალისტებმა არაერთხელ გააჟღერეს კითხვა ადგილობრივი მაუწყებლების სამომავლო პერსპექტივებზე, რაზეც კომერციული ქსელის მშენებელი კომპანიის „სტერეო +“ დამფუძნებლის, დავით ზილფიმიანის, IDFI-ს ექსპერტის, უჩა სეთურისა და რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის თავმჯდომარის, ნათია კუპრაშვილისგან ამომწურავი პასუხები მიიღეს. მათი განმარტებით, **რეფორმის განხორციელებით ადგილობრივ მაუწყებლებს „გაქრობის“ საფრთხე არ ემუქრება, მეტიც — ის ხელს შეუწყობს მედიაპლურალიზმს და ბაზარზე გაჩნდებიან ახალი მოთამაშეები. აღინიშნა, რომ ადგილობრივ მაუწყებლებს სახელმწიფომ დეციმეტრულ და მეტრულ დიაპაზონებში სიხშირული რესურსის ფლობის ნებართვა გადასცა და ამასთან, კანონმდებლობით შეუქმნა პერსპექტივა, სურვილის შემთხვევაში, გახდნენ ეროვნული მაუწყებლებიც.**

შეგახსენებთ, რომ საქართველოში ანალოგიური ტელემაუწყებლობის გათიშვის თარიღად 2015 წლის 17 ივნისი განისაზღვრა. ამ დღიდან ღია საეთერო სატელევიზიო პროგრამები მხოლოდ ციფრული მიწისზედა სიგნალის მეშვეობით გადაიცემა.

დღეს არსებულ ანალოგიურ მაუწყებლობასთან შედარებით ციფრულ ფორმატში მაუწყებლობას არაერთი უპირატესობა აქვს. ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა ხელს შეუწყობს სატელეკომუნიკაციო სფეროში ევროპული სტანდარტების დამკვიდრებას და ინვესტიციების მოზიდვას, მედიაპლურალიზმსა და ტელემაუწყებლობის შემდგომ განვითარებას.

სოციალური პასუხისმგებლობის მაგალითი — ლიბერთი ბანკმა დღის ცენტრის რეაბილიტაცია განახორციელა

კავშირი „მშობელთა ხიდის“ დღის ცენტრის რეაბილიტაციის პროექტი ლიბერთი ბანკმა განახორციელა. დაახლოებით, 2-3 კვირის განმავლობაში, ბანკმა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისა და მოზარდების დღის ცენტრის სასადილო, დერეფანი და სველი წერტილები გაარემონტა. ეს პროექტი ლიბერთი ბანკმა სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში განახორციელა.

„მშობელთა კავშირის“ დაარსებული დღის ცენტრი ჩუღურეთის რაიონში, გოცირიძის ქუჩაზე მდებარეობს. პატარა, სკოლის ტიპის ცენტრში მყუდრო გარემო, ლამაზი ფერები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ბედნიერი სახეები დაგხვდებათ. ისინი საკმაოდ კონტაქტურები, გახსნილები, ლაღები და თბილები არიან.

ლიბერთი ბანკი, „მშობელთა ხიდის“ დღის ცენტრის გარდა, ახმეტის ბავშვთა სახლს უწევს პატრონაჟს. ბანკის გენერალური დირექტორი **გიორგი არველაძე** ამბობს, რომ მხოლოდ რემონტით არ შემოიფარგლებიან. ლიბერთი ბანკი მომავალშიც განაგრძობს სოციალური მიმართულების პროექტების განხორციელებას, რაც დღის ცენტრთან თანამშრომლობის გაღრმავებასაც გულისხმობს:

„ძალიან მიხარია, რომ ლიბერთი ბანკმა შეძლო და თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა არასამთავრობო ორგანიზაცია „მშობელთა ხიდის“ პროექტში, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დღის ცენტრს წარმოადგენს. ეს ის თემაა, რომელიც ნებისმიერ ქვეყანაში უნდა გადაიჭრას და ჩვენი სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, ეს ერთ-ერთი, ძირითადი მიმართულება იქნება. ვეცდებით, ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალური მდგომარეობის გამოსასწორებლად ჩვენი წვლილი შევიტანოთ“.

კავშირ „მშობელთა ხიდის“ დამფუძნებელსა და დღის ცენტრის დირექტორს, **თეონა ყაჭეიშვილს** შეზღუდული შესაძლებლობების მქონე შვილი ჰყავს. წლების წინ, თვითონ შეეჩეხა იმ პრობლემას, რომლის მოგვარებასაც, აგერ უკვე, 10 წელია, ცდილობს. თეონა ყაჭეიშვილის შვილს მუსიკალური ნიჭი აღმოაჩნდა, მაგრამ იმის გამო, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი იყო, არცერთ მუსიკალურ სკოლაში არ მიიღეს. თეონას ფარ-ხმალი არ დაუყრია, ამიტომ თავად გადაწყვიტა შეექმნა ცენტრი, სადაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები მუსიკასაც დაეუფლებოდნენ, ხატვასაც და ხელოვნების სხვა დარგებსაც. მაშინ არ იცოდა, რა იყო არასამთავრობო ორგანიზაცია, მაგრამ იმდენად ძლიერი სურვილი ამოძრავებდა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებსა და მოზარდებს დახმარებოდა, რომ კავშირი „მშობელთა ხიდიც“ დააფუძნა და დღის ცენტრიც შექმნა:

„უკვე 10 წელია, რაც კავშირი „მშობელთა ხიდი“, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებსა და მოზარდებს ემსახურება. ამ ცენტრის 50 ბენეფიციარი ყოველდღე მოდის აქ, სადაც სხვადასხვა თერაპიულ აქტივობაში ერთვებიან. ფაქტობრივად, ლიბერთი ბანკმა ოცნება აგვისრულა, რადგან ჩვენი ცენტრის სასადილო, დერეფანი და სველი წერტილები გაგვირემონტა. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ეს სივრცე ყველა კატეგორიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდებისთვისაა ადაპტირებული. სხვა ბიზნესორგანიზაციებსა და კერძო პირებსაც მინდა მოვუწოდო, რომ მიბაძონ ლიბერთი ბანკს, რადგან ეს სოციალური პასუხისმგებლობის მაგალითია“.

თეონა ყაჭეიშვილი გვიამბობს, რომ დღის ცენტრში ბავშვებსა და მოზარდებს ორჯერადი კვება აქვთ, დილით — ლანჩი და შუადღეს — სამკოპენენტიანი სადილი. მიუხედავად იმისა, რომ დღის ცენტრს ფინანსურად ძალიან უჭირს, შეზ-

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მუსიკალური თერაპია დღის ცენტრში

ღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისა და მოზარდებისთვის, კვირაში სამჯერ, მუსიკალური თერაპია ტარდება. დღის ცენტრს ემსახურება ფსიქოლოგი, ორი სპეციალისტ-პედაგოგი და თერაპევტი. ცენტრში მხოლოდ ფიზიკურ შეზღუდვაზე არ აკეთებენ აქცენტს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბენეფიციარები კომბინირებულები, ანუ ყველა ტიპის უნარშეზღუდული მოზარდები არიან.

თეონა ყაჭეიშვილი და დღის ცენტრის სხვა პედაგოგები მაქსიმალურად ცდილობენ, ამ ბავშვების მენტალური ბარიერები დაამსხვრიონ და საზოგადოებაში მათ ადაპტაციას ხელი შეუწყონ. ლიბერთი ბანკის ფერებში შეღებილი დერეფნის კედლებს, დღის ცენტრის ბავშვებისა და მოზარდების ნახატები ამშვენებს. აქვეა მათი ნაკეთობების გამოფენაც, სადაც თვალში მოგხვდებათ მოჩუქურთმებული, სხვადასხვა ზომის ხის სკივრები.

თეონა ყაჭეიშვილი გვიამბობს, რომ დღის ცენტრი 8-საათიანია. მშობელს დილით მიჰყავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი ცენტრში, ტოვებს დღის განმავლობაში, ხოლო საღამოს სახლში მიჰყავს:

„ვეხმარებით მშობლებს და ადვოკაციას ვუწევთ, რომ ეს ბავშვები ოჯახებში გაზარდონ და ბავშვთა სახლებში არ მიაბარონ. დღევანდელ საქართველოში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი, ოჯახის პრობლემაა, ამიტომ ვცდილობთ, ამ ოჯახებს დავეხმაროთ“.

მუსიკის პედაგოგი, მუსიკალური თერაპევტი, **ალიონა თუ-**

თუნჯიანი „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ ცენტრის ბავშვები საკმაოდ მუსიკალურები არიან. უკვე ორი თვეა, რაც დღის ცენტრში მუსიკალური ბენდი — „პარაორკესტრი“ დაარსდა, სადაც ცენტრის აღსაზრდელები სიხარულით დადიან:

„მუსიკალური თერაპია ამ ბავშვებს ძალიან ახარებთ და დადებით ემოციას ამჟღავნებენ, რაც პრობლემების დაძლევაში ეხმარება. მაქსიმალურად ვცდილობ, ამ ორკესტრმა პროფესიონალური დონე აჩვენოს და ვფიქრობ, ამ ბავშვების დახმარებით, გარკვეულ შედეგსაც მივაღწიეთ. რეპეტიციებზე ხალისით მოდიან და ბოლომდე იხარჯებიან, რადგან თვითონაც ძალიან უნდათ, მაქსიმალურად კარგად დაუკრან და იმღერონ. რაც შეეხება ჩვენს დირექტორს, თეონა ყაჭეიშვილს, გვერდში გვიდგას და გვეხმარება, როგორც ტექნიკური მასალებით, ასევე გულისხმიერებით, რათა ჩვენმა ბავშვებმა მუსიკაც აითვისონ, დახატონ კიდეც და სხვადასხვა ნაკეთობებიც დაამზადონ“.

არც ისე დიდი ხანია, რაც ირაკლი დღის ცენტრის მუსიკალურ სტუდიაში დადის და სხვადასხვა ინსტრუმენტებზე უკრავს. ამბობს, რომ დღის ცენტრში ხალისით მიდის, რადგან ბენდის რეპეტიციები უყვარს და ცდილობს, ყველა ინსტრუმენტზე დაუკრას.

ჟანაც ამ ცენტრის ბენეფიციარია, მუსიკალურ ბენდში დაირაზე უკრავს და მღერის კიდეც. დღის ცენტრი მასაც ძალიან უყვარს და ყოველდღე ხალისით დადის. საკმაოდ მეგობრულია, კომუნიკაბელური, კონტაქტური და გახსნილი. ფოტოებიც ხალისით გადაიღო და გვითხრა, რომ მეგობრებიც ძალიან უყვარს და პედაგოგებიც.

ლიკა კვარაცხელია დღის ცენტრის ერთ-ერთი, გამორჩეულად ნიჭიერი მოსწავლეა. მუსიკალურ ბენდში დაირასა და თეფშებზე უკრავს, კარგად მღერის, ხატავს და სხვადასხვა ნაკეთობებსაც ამზადებს. ცენტრის დერეფანში, ლიკას ნახატები და ნაკეთობებიცაა გამოფენილი. მეგობრებს შორის, აშკარად ლიდერია, თანაც სხვებთან შედარებით ლაღი და გახსნილი. მეგობრებს შორის, ყველაზე მეტი ფოტო რომ გადაიღო, მერე მითხრა, Facebook-ზე მომძებნე, ეს ფოტოები ამიტვირთე და მეც მექნებაო.

ნინა დღის ცენტრის ლამაზი ფერიაა, რომელიც არაჩვეულებრივად ცეკვავს. პედაგოგებიც უყვარს, ცენტრშიც ხალისით დადის და თავს ბედნიერად მაშინ გრძნობს, როდესაც ცეკვავს.

გოჩაც მუსიკალურ ორკესტრში უკრავს. ძალიან უყვარს მუსიკა, ცენტრის ბენდი, მეგობრები და პედაგოგები. ამბობს, რომ დღის ცენტრში ხალისით დადის და რეპეტიციებსაც სულმოუთქმელად ელოდება.

დიდი ხანია, გიორგი დღის ცენტრში დადის. ისიც მუსიკალურ ბენდში უკრავს და სხვადასხვა ნაკეთობებსაც ამზადებს. ამბობს, რომ შარშან, საუკეთესო ნამუშევრების გამო, სიგელი მიიღო, რომლითაც ძალიან ამაყობს.

ლექსო „პარაორკესტრის“ სოლისტია, ტამტამზე უკრავს და არაჩვეულებრივად მღერის. ამბობს, რომ სიმღერა ძალიან უყვარს, პედაგოგებიც და თავისი მეგობრებიც. ძალ-ღონეს არ იშურებს, რომ რეპეტიციებზე ბოლომდე დაიხარჯოს, რადგან მერე კარგად დაუკრას და იმღეროს. მორიდებით მითხრა, რეპეტიციაზე იმიტომ ვიღლები, რომ როდესაც დავუკრავ ან ვიმღერებ, მსმენელებს ძალიან მოეწონოთ და ტაში დამიკრანო.

ლიბერთი ბანკის საჩუქარი — ერთი არაჩვეულებრივი და ლამაზი დღე, დღის ცენტრში „პარაორკესტრის“ სახელდახელო კონცერტით და მინიწარმოდგენით დასრულდა. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისა და მოზარდების გაცისკროვნებული, ლაღი და ხალისიანი მზერა, უამრავი პოზიტივი დიდხანს გამყვება. ისინი განსაკუთრებით ნიჭიერი, საყვარელი, თბილი და ძალიან კეთილი ადამიანები არიან... ეზომდე გიორგიმ გამომაცილა, გზაში მითხრა, 23 დეკემბერს, ცენტრში გამოფენა გვაქვს და აუცილებლად მოდიო...

მაია მიშელაძე

შეგირდობის საპილოტე პროგრამა უმუშევრობას შეამცირებს

კერძო სექტორი ახალ ინიციატივას მხარს უჭერს

უმუშევრობის პრობლემის გადასაჭრელად, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება „ფრიდრიხ ებერტის ფონდის“ მხარდაჭერით, კიდევ ერთი საკანონმდებლო ინიციტივით გამოდის. პროექტი პილოტური ხასიათისაა და ამ ეტაპზე, აგრარულ სექტორში, დაახლოებით, 500-600 კურსდამთავრებულის გადამზადებასა და სტაჟირება-შეგირდობას გულისხმობს.

საქართველოში უმუშევრობის პრობლემა ისევ ქრონიკულ ხასიათს ატარებს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებში. სხვადასხვა კვლევამ აჩვენა, რომ ყველა ასაკობრივ ჯგუფს შორის, ახალგაზრდებში დასაქმების სურვილი ყველაზე მაღალია. სამუშაო ადგილების სიმცირის გარდა, ახალგაზრდებში უმუშევრობას ისიც უწყობს ხელს, რომ დამსაქმებლები ხშირად უფრო გამოცდილ კადრებს ითხოვენ. სამწუხაროდ, ქვეყანაში განათლების დონე, როგორც საშუალო, ისე პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საკმაოდ დაბალია და შესაბამისი გამოცდილების, ცოდნის, კვალიფიკაციის უქონლობის გამო, დამსაქმებლები უარს აცხადებენ ახალგაზრდებისათვის სამსახურის შეთავაზებაზე. შედეგად, უპირატესობას უფრო გამოცდილ კადრებს ანიჭებენ.

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების მიერ ინიცირებული საკანონმდებლო ინიციატივა პილოტური ხასიათისაა და სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე, პრიორიტეტი აგრარული სექტორის კურსდამთავრებულთა საწარმოო პრაქტიკის გავლას, ანუ სტაჟირება-შეგირდობას ენიჭება. პროექტის ფარგლებში, თუკი ის მოწონებულ იქნა, აგრარული სექტორის კურსდამთავრებულებისთვის, პროფესიული უნარ-ჩვევების დაუფლების მიზნით, საწარმოებში შეგირდობის პროგრამა — 3-დან 4 თვემდე, დაფინანსდება. ეს კი ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ხელფასების სუბსიდიების სახით გაცემას ითვალისწინებს:

„პროექტის მიზანია, შემცირდეს უმუშევრობა ახალგაზრდებს შორის, კერძოდ აგარარულ სფეროში დასაქმების მსურველ ახალგაზრდებში, მათი კვალიფიკაცია კი, სხვადასხვა აპრობირებული მეთოდების გამოყენებით, ამაღლდეს. გამოყოფილი ფინანსური რესურსების თვალსაზრისით, სოფლის მეურნეობის დარგში, ბოლო ორი წლის ბიუჯეტი უპრეცედენტოა, რაც მისი მასშტაბების გაფართოებას გულისხმობს. რა თქმა უნდა, ეს დამატებით შრომის რესურსების მოზიდვასთან იქნება დაკავშირებული, ამიტომ ჩვენი ახალი საკანონმდებლო ინიციატივა ერთ-ერთი ინსტრუმენტი გახდება, რომელიც აგრარული სფეროს სხვადასხვა სპეციალობაში ბაზარს დროულად მიაწვდის პროფესიონალ კადრებს; ასევე, დაამკვიდრებს სტაჟირების თვისებრივად ახალ ფორმას – სტაჟირებას, რაც გულისხმობს კურსდამთავრებულის ანაზღაურებად გრძელვადიან საწარმოო პრაქტიკას საწარმოში მომუშავე გამოცდილი მენტორის ზედამხედველობის ქვეშ. მასშტაბიდან გამომდინარე, ეს საკანონმდებლო ინიციატივა მომგებიანი იქნება, როგორც სტუდენტების, ასევე ბიზნესსექტორისთვის, რაც საბოლოოდ, სახელმწიფოს ეკონომიკაზე დადებითად აისახება“, — აცხადებენ საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებაში.

აღნიშნული ინიციატივა, რომელსაც პილოტურად მხოლოდ სოფლის მეურნეობის დარგში გამოიყენებენ, იმ ახალგაზრდების დასაქმების პრობლემას ნაწილობრივ მაინც მოაგვარებს, რომლებმაც აგრარული განათლება მიიღეს. თუმცა, პროექტის განხორციელების მონიტორინგის დადებითი მაჩვენებლის შედეგად, შესაძლოა, მსგავსი ინიციატივა სხვა დარგებშიც დაინერგოს, რაც ახალგაზრდებში არა მარტო უმუშევრობის პრობლემის გადასაჭრელად რეალურად წინგადადგმული ნაბიჯი იქნება, არამედ სიღარიბისა და ჯანმრთელობის პრობლემების პრევენციასაც შეუწყობს ხელს.

პროექტის ფარგლებში, თბილისის, ქუთაისის, თელავის, გორისა და ბათუმის უნივერსიტეტებში, აგრარული სექტორის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებთან შეხვედრები უკვე გაიმართა. გარდა ამისა, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების წარმომადგენლებმა ინფორმაციული ხასიათის წერილები გაუგზავნეს უნივერსიტეტების რექტორებსაც. კონსულტაციები გამართეს ამავე დარგის ბიზნესსექტორისა და საქართველოს პროფესიული კავშირების წევრი ორგანიზაციის, სოფლის მეურნეობის, მსუბუქი, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირების პირველადი ორგანიზაციების წარმომადგენლებთანაც:

„პროექტის ფარგლებში, საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები გავმართეთ დამსაქმებელთა ასოციაციასთან. სოფლის მეურნეობის სფეროში მოქმედ ბიზნესმენებსა და მეწარმეებთან, აქტიურად ვთანამშრომლობთ. გარდა ამისა, იმ არასამთავრობო ორგანიზაციებსაც შევხვდით, რომლებიც საქართველოში დასაქმების საკითხებზე მუშაობენ. მოვამზადეთ ეკონომისტის კვლევა შრომის ბაზრის, კერძოდ, აგრარულ სექტორში შრომით რესურსებზე მოთხოვნისა და შეგირდობის ინსტიტუტის ეფექტურობის შესახებ. ჯამში, ამ პროექტმა საკანონმდებლო ინიციატივის სახე მიიღო, რაც მთავარია, „აგრარული სექტორის კურსდამთავრებულთათვის საწარმოო პრაქტიკის გავლის შესახებ“, საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტიც შემუშავდა“, — აცხადებენ პროფესიული კავშირების გაერთიანებაში.

რამდენად მისაღებია ეს ინიციატივა? რას ფიქრობენ ექსპერტები ეკონომიკის საკითხებში და კერძო სექტორის წარმომადგენლები? შეუწყობს თუ არა უმუშევრობის პრობლემის გადაჭრას ხელს პროფესიული კავშირების გაერთიანების ეს ინიციატივა? „ვერსია“ მარნეულის სასურსათო ქარხნის დირექტორს, ირინა გაფრინდაშვილს დაუკავშირდა, რომელმაც განაცხადა, რომ 2-3 კვირის განმავლობაში, ქარხანაში, 4-5 სტუდენტი მუდმივად გადის სტაჟირებას:

„ჩვენ ყოველთვის მზად ვართ, რათა სტუდენტებმა მარნეულის ქარხანაში სტაჟირება გაიარონ. ასეთი გრძელვადიანი სტაჟირება ჯერ არ გაუვლიათ, მხოლოდ წარმოებისა და ნედლეულის მიღების პროცესში, დაახლოებით 2-3 კვირის მანძილზე გადიან სტაჟირებას, რაც ნამდვილად სასარგებლოა მათთვის. სტაჟირების დროს, სტუდენტები უშუალოდ მონაწილეობენ წარმოების პროცესში, პრაქტიკაში აკვირდებიან ყველაფერს და ეს ნამდვილად სასარგებლოა მათთვის. რაც შეეხება კონკრეტულად ამ ინიციატივას, ძალიან კარგია და მივესალმებით, რადგან აგრარულ სექტორში კვალიფიციური კადრების დეფიციტია. თუკი სტაჟირების დროს სტუდენტები შეძლებენ, ახალი ინფორმაცია სწრაფად აითვისონ და წარმოების პროცესშიც გამოავლენენ პროფესიულ უნარ-ჩვევებს, ეს არა მარტო მათ წაადგება, არამედ დამსაქმებლებსაც. თუმცა უმუშევრობის პრობლემას მხოლოდ კერძო სექტორი ვერ გადაჭრის, სახელმწიფოს დახმარებაც აუცილებელია, განსაკუთრებით განათლების სექტორში. როგორც გითხარით, კვალიფიციური კადრების დეფიციტია და, რა თქმა უნდა, აუცილებელია, სტუდენტებმა კარგი განათლება მიიღონ. თუ ამ პროექტის ფარგლებში, აგრარული სექტორის კურსდამთავრებულებს კვალიფიციურად გადაამზადებენ, ხოლო სტაჟირების პროცესში ისინი პროფესიულ უნარ-ჩვევებსაც გამოავლენენ, ცხადია, ეს მათ დასაქმებას შეუწყობს ხელს “.

ექსპერტმა ეკონომიკის საკითხებში, **ირაკლი ლექვინაძემ** „ვერსიასთან საუბრისას აღნიშნა, რომ პროფესიული კავშირების გაერთიანების ახალ ინიციატივას მიესალმება და მხარს უჭერს:

„რატომაც არა, რეალურად, აგრარულ სექტორში კადრების დეფიციტია, ამიტომ, თუკი ამ პროექტის ფარგლებში, რომელიც ძირითადად, განათლებაზეა ორიენტირებული, აგრარული სექტორის კურსდამთავრებულები სტაჟირებას გაივლიან, მათი დასაქმების კუთხით, ნამდვილად შედეგიანი იქნება. გარდა იმისა, რომ ამ სექტორში კადრების დეფიციტია, განათლებაც სერიოზული პრობლემაა. აქედან გამომდინარე, ამ ინიციატივას მივესალმები“.

მაია მიშელაძე

დათა ახალაიამ ზურაბ ჟვანიას ძმაკაცს ფიროსმანის ნახატის ქურდობა „შეჭენა“

პატიმარი №0578

წინა ხელისუფლების დროს ყველაფერი ერთი კაცის საკუთრება რომ იყო, კარგად მოგეხსენებათ. უფრო ზუსტად კი, ყველაფერი ერთი კაცის სურვილით იმართებოდა და ქვეყნის ბედი იმაზე იყო დამოკიდებული, როგორ განწყობაზე გაიღვიძებდა ის ერთი. ისიც გემახსოვრებათ, ერთ დღეს რომ გაიღვიძა „იმ კაცმა“ და გამოაცხადა, ფიროსმანის ნახატები ჩემს რეზიდენციას უნდა ამშვენებდესო. მაშინ ამას დიდი ამბები მოჰყვა, მაგრამ „იმ კაცმა“ თავისი გაიტანა და ფიროსმანის ნამუშევრები საკუთარ რეზიდენციაში დაკიდა. ამასთან, მუზეუმიდან ნახატების გადატანა დიდი ზარ-ზეიმით და გაძლიერებული დაცვით მოხდა, თუმცა...

დათო ტ. 6-წლიან სასჯელს იხდიდა. დილიდან საღამომდე ხან თავის თავს აგინებდა, ხან „იმ კაცს“, ხანაც კი მოთქმით ამბობდა, „შენ დაგედო ჩემი ცოდვა, ნიკალა, რას მერჩოდი“... რა დაუშავა ფიროსმანმა, მიახლოებით ყველამ იცოდა, მაგრამ დეტალურად — თითქმის არავინ. ერთი ეგ იყო, პატიმრებმა დათოს ნიკალა შეარქვეს და ახლაც, თავისუფლებაზე, ციხის მეგობრები ნიკალას ეძახიან.

„ნიკალა“ პატიმარმა №0578-მა უცნაურად გაიცნო — ყავა გამოელია და ჯერ გვერდით კამერაში იკითხა, მერე მაყურებლებთან, ბოლოს კი, ვიღაცამ უთხრა, ნიკალასთან ადი, მაგას ყავა სულ აქვსო. №0578 კამერაში შევიდა და იქ მხოლოდ „ნიკალა“ დახვდა. მანამდე ერთმანეთთან შეხება არ ჰქონიათ. მიესალმა, მოიკითხა, მერე კი, ყავა ხომ არ გაქვსო, ჰკითხა.

„ყავა, ყავა, ყავა... მაქვს, მაგრამ ყავას ყიდვა უნდა. მოგიდუღებ და აქ დალიე, არ გაგატან“, — აბუზღუნდა ნიკალა.

№0578-ს გაეღიმა, სიგარეტის კოლოფს ცელოფანი წააძრო, კოვზი აიღო და ყავის ჩაყრა დაიწყო. მისდა გასაოცრად, „ნიკალამ“ იფეთქა და ბოლო ხმაზე აყვირდა: „მე რა გითხარი, აქ დალიე-მეთქი. არ გაგატან, ამ კამერიდან ყავა არ გავა. გინდათ, აქ დალიეთ, არ გინდათ და არ გატან...“

პატიმარი №0578 ყურადღებას არ აქცევდა, მშვიდად ჩაყარა სამი კოვზი ყავა ცელოფანში, შემდეგ ყავის კოლოფს თავსახური დაახურა, „ნიკალას“ შეხედა, მშვიდად უთხრა: „რა დღეში გაქვს ნერვები“ და კამერიდან გავიდა, თუმცა ყავის მეპატრონე დანებებას არ აპირებდა, კორიდორში გაჰყვა და ყვირილი დაიწყო: „დაბრუნდი, აქ დალიე, არ გატან“...

საპირისპირო მხრიდან ზონის მაყურებელი მოდიოდა, ორივეს შეხედა და თვალით ანიშნა, კამერაში შემოდითო.

„რა ხდება, დეზერტირების ბაზარი ხომ არ გქონიათ აქ?!“ — მკაცრად იკითხა მაყურებელმა.

„ყავა გამოვართვი, ამან კიდე, აქ დალიეო. საღამოს, ზონას რომ დაკეტავენ და ყავის დალევა მომინდება, რა ვუთხრა ოფიცერს, კამერა გამიღე, „ნიკალასთან“ მიმიყვანე, ყავას დავლევ და წამოვალ-თქო?!“ — იკითხა №0578-მა.

„ყავა ჩემია, უარს არ ვეუბნები, მაგრამ აქ დალიოს. მომბეზრდა, ყველა აქ დადის ყავისთვის. აღარ ვიყიდი და ნახავთ მერე“, — ისევ აყვირდა „ნიკალა“.

„აქ შენი მხოლოდ პირველადი მოხმარების საგნები და საცვალია, დანარჩენი საერთოა, ეს ერთი. №0578 ყველა არ არის და ეს უნდა იცოდე, ეს ორი და მესამე, იყიდი თუ არა, შენი გადასაწყვეტია, ვერავის მიუთითებ, როგორ მოიქცეს, ყავა დალიოს შენთან თუ ნარდი გეთამაშოს. შენ რაც შეგეხება, კორიდორში რომ აკივლებ ამ ბებერს, ტვინი არ გაქვს თავში? თუ მოგაქვს, ისე წამოიღე, არ აგიყვირდეს“, — დაამთავრა მაყურებელმა და კამერიდან გავიდა.

№0578 წამოდგა, „ნიკალა“ ეცა: „არ გაგატან, აქ დალიე“. პატიმარმა ყავის ცელოფანი ამოიღო, მაგიდაზე დადო და კამერიდან გავიდა. ორი კვირის შემდეგ, ისევ ყავის გამო, „ნიკალა“ ვიღაცას აუყვირდა და მაყურებლებმა თავის კამერაში დაიბარეს. ადვილი მისახვედრი იყო, რომ კარგ დღეს არ დააყრიდნენ და ყვირილის გამო სცემდნენ. №0578 სწორედ მაშინ შევარდა მაყურებლებთან, როცა „ნიკალას“ პირველი სილა შემოარტყეს.

„არ გინდათ, ძმებო, მე მივხედავ, აღარ იყვირებს. გპირდებით, აღარ იყვირებს“, — უთხრა მაყურებლებს და 56 წლის „ნიკალა“ ე.წ. ბლატატას ხელიდან წაართვა. დამფრთხალი და შეშინებული „ნიკალა“ ცრემლებს ძლივს იკავებდა. №0578-მა თავის კამერაში აიყვანა, ყავა მოუდუღა და ჰკითხა, რა გჭირს, ყავაზე ასე რამ გადაგიკეტაო.

„ვერ ვამბობ, თორემ რეალურად ეს ყავა ჩემებს სისხლის ფასი უჯდებათ. გარეთ ცოლი და შვილი დამრჩა, არსად მუშაობენ, მზესუმზირას ჰყიდის ცოლი და იმით მე აქ მარჩენს და გარეთ შვილს. ყავის გარეშე არ შემიძლია, ხედავ, ძვალი და ტყავი ვარ და ვერავის გავაგებინე. არ მინდა პური, არაფერი მინდა, ყავა დამიყენონ“, — წაისლუკუნა ნიკალამ.

„კი, მაგრამ, ფიროსმანის ნახატის მოპარვას გედავებიან და პურის ფული არ გაქვს, კაცო?!“ — გაიოცა №0578-მა.

„არც შენ იცი რეალობა. რა ფიროსმანის ნახატი, მიშას დედა რომ ვატირე, თორემ ამ ასაკში ციხეში რა მინდა?“ — ამოიგმინა ნიკალამ.

„აბა, რა მოხდა? მოდი, ყავას კიდევ მოგიდუღებ, შენ კი მოყევი, რა და როგორ მოხდა...“

„ნიკალამ“ ერთი ამოიოხრა და დაიწყო:

„ცხონებული ზურაბ ჟვანიას მეგობარი ვიყავი. მეგობარი, რა, ვძმაკაცობდით, ერთადაც ვმუშაობდით. მერე, ზურა დიდი კაცი რომ გახდა, მოვერიდე, არ მივედი, არ შევაწუხე, მაგრამ თვითონ მიპოვა, რამე ბიზნესი დაიწყეო და მეც დავიწყე, თუმცა არ მქონდა ბიზნესის ნიჭი, შევეშვი და მუზეუმში დავიწყე მუშაობა. მერე, ზურა რომ მოკლეს, მაგის სასტავს ხომ დაერივნენ, მაგრამ მე არც თანამდებობა მქონდა ისეთი და არც ფული, რომ ინტერესი გამოეჩინათ, მაგრამ ერთხელ, მიშა იყო მუზეუმში, დათა ახალაია ახლდა და იმან თქვა, ეს ჟვანიას ძმაკაციაო... მერე იყო, მიშამ აიტეხა, ფიროსმანის ნახატი მინდა რეზიდენციაშიო და ატყდა ერთი ამბავი. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ მუზეუმიდან ყველა ნახატის წაღება სურდათ, აქაოდა, კედელზე რომელი დაეტევაო. მაშინ ვთქვი, კედელი გაზომეთ, ნახატები რომ არ ვატაროთ აქეთ-იქით-მეთქი. თურმე, სად გძინავს, ზომა კი არა, რომელი მოუხდებოდა ინტერიერს, ის აინტერესებდა მიშას, ამიტომ ყველა ნახატის მიტანა ბრძანა. არ იყო მხოლოდ ფიროსმანზე აქცენტი, მუზეუმში დაცული ყველა ნახატი უნდა მიეტანათ. მოვიდა ორი სპეცმანქანა, მოჰყვა დათა ახალაია და ვიღაც ძალოვნები, ადეიშვილსაც მოვკარი თვალი და დაიწყეს ნახატების ჩატვირთვა მანქანებში. რა თქმა უნდა, არ ჩაეტია და ჩვეულებრივ მანქანებში ჩააწყვეთო, დათამ ბრძანა. მაშინვე გავაპროტესტე, არ შეიძლება, დაზიანების საფრთხეა-მეთქი და ერთი სილა იქვე შემომარტყა, შენი მანქანა მოიყვანეო, ჩადეს იქაც სურათები და გამიყენეს კუდიგორის გზას... რეზიდენციის გზას, რა...

მივედით, შიგნით არ შემიშვეს, ჩემი მანქანა შეიყვანეს, ჩამოტვირთეს, მერე გამოიყვანეს, გასაღები მომიგდეს და წადიო. წამოვედი სახლში, გარაჟში დავაყენე მანქანა და ყველაფერ ამას შაბათ-კვირა დაემთხვა. სახლიდან არ გავსულვარ, თან ნახატებზე ვნერვიულობდი, თან ცოლს ჰქონდა მაღალი სიცხე და ვუვლიდი. ორშაბათს, დილით, სამსახურში მივდიოდი, როცა გზაზე ჯიპები გადამიდგნენ, ჩემი მანქანა ალყაში მოაქციეს და ჩხრეკა დაიწყეს. საბარგულში ნახატი ნახეს, ნიკალას ნახატი. ჯერ ხომ ტრასაზე მცემეს, მერე მოდულში წამიყვანეს და იქ დამიმატეს, შე ბოზო, ეროვნულ საგანძურს როგორ იპარავდიო. მერე დათა ახალაია მოვიდა. გამიხარდა, რომ დავინახე, ვიფიქრე, ამას მაინც ავუხსნი, რა და როგორ მოხდა-მეთქი. ისიც ვუთხარი, მოპარვა რომ მდომებოდა, საბარგულით ისევ სამსახურში ხომ არ წავიღებდი-მეთქი და... მომკლა კინაღამ ცემაში ახალაიამ, მშრალ ხიდზე მიგქონდა და ვისთან მიგქონდა, ის მითხარიო. მშრალ ხიდზე, თურმე, ჩემი კლასელი ვაჭრობდა, ეგეც არ ვიცოდი, იმათ გაიგეს, დაიჭირეს, დამაპირისპირეს... ოც წელზე მეტი არ მყავდა ნანახი, ვერ მიცნო და ისე სცემეს, ძვალი და რბილი გაუერთიანეს. საბოლოოდ, ფიროსმანის ნახატის მოპარვის მცდელობა შემტეენეს და ექვსი წელი მომცეს, ჩემი კლასელი კი გადარჩა ათი ათასი გადაახდევინეს და გაუშვეს“.

„მუზეუმის დირექტორი ან თანამშრომლები არაფერს ამბობდნენ?!“, — ჰკითხა №0578-მა.

„რა უნდა ეთქვათ? ასე, მანქანებით წაღებულ ნახატებს, მერე ორი თვე ეძებდნენ. ძლივს მოაგროვეს, ზოგი დაზიანებული იყო. მგონია, უბრალოდ, ჟვანიასთან მეგობრობის გამო დამსაჯეს. საქმე ისაა, რომ, როცა ზურა დაიღუპა, პრაქტიკულად, ყველამ უღალატა. ხომ გითხარი, ბიზნესი დამაწყებინა თავიდან-თქო და ელიავას ბაზრობაზე ვმოძრაობდი. მიშას ხალხმა მითხრა მაშინ, გოგლა ჟვანიას აქვს ინტერესები ელიავაზე და ხელი დაადე, რომ განუბაჟებელ საქონელს ყიდდითო. უარი ვთქვი. ჯერ ერთი, გოგლასთან ბიზნესში შეხება არ მქონდა და მეორეც, რატომ უნდა დამედო ხელი გარდაცვლილი მეგობრის ძმისთვის?! მაშინ ვინც ეგ მითხრა, დათას კლანის წევრი იყო და მართალია, არ დამმუქრებიან, მაგრამ რომ გავანაწყენე, მივხვდი. რამდენიმე თვის შემდეგ, როცა გოგლამ ამბავი ატეხა და ზურას გარდაცვალებაზე ეჭვი გამოთქვა, ისევ შემახსენეს. ისევ უარი ვთქვი და ამ ამბის ბოლო კი მოგიყევი — აგერ ვარ“, — გაეღიმა „ნიკალას“.

„როგორც მახსოვს, მაშინ საუბარი იმ ნახატზე იყო, რომელსაც „გიორგობა თბილისში“ ჰქვია. ეგ ნახატი კი შენი მანქანისთვის ძალიან დიდია და იქ როგორ გედო?“, — ჰკითხა №0578-მა.

„ეგ სპეცმანქანით წაიღეს, მაგრამ ხომ გეუბნები, დანარჩენი ნახატები საბარგულებით გვატარებინეს. ასე, გამოიტანეს, ჩაყარეს და წაგვაღებინეს“, — უპასუხა „ნიკალამ“.

***

პატიმარი დავით ტ. ციხიდან თავისუფლებაზე ტუბერკულოზით, ქრონიკული არითმიითა და სისხლძარღვებით დაავადებული გავიდა.

ინტერვიუ, რომელიც ყველა ონკოპაციენტმა უნდა წიაკითხოს

რამდენი პროცენტით აფინანსებს სახელმწიფო ქიმიო და სხივური თერაპიას



თამარ ლომსაძე
568-34-44-94

აცრემლებული თვალები, დაზაფრული სახე, გაურკვეველი მომავლისა თუ სასწორზე დადებული სიცოცხლის შიში — ეს ონკოლოგიურ საავადმყოფოში გაბატონებული რეალობაა. ვიღაცას ექიმთან მისვლის ეშინია, ვიღაცას კი ანალიზის პასუხის. წლების შემდეგაც არაფერი იცვლება, კიბო სულ უფრო ვერაგდება და მის წინაშე, განვითარებული მედიცინისა და დახვეწილი ტექნოლოგიების მიუხედავად, მაინც უძლურნი ვართ, თუმცა „ვერსიასთან“ საუბრისას, ონკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, პროფესორი რეზო გაგუა აცხადებს, რომ ლეტალური შედეგის უმთავრესი მიზეზი მაინც ექიმთან დაგვიანებული ვიზიტია და ყველამ სწორედ ეს უნდა გავითავისოთ, რადგან „კიბო დიაგნოზია და არა — განაჩენი“.

— ბატონო რეზო, როდესაც დაგვიანებულ მკურნალობაზე ვსაუბრობთ, იქნებ ისიც ვთქვათ, რომ ამის მიზეზი საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობაა...

— კიბო, მხოლოდ საქართველოს კი არა, გლობალური პრობლემაა და მოსახლეობაც იმ შეღავათებზე, რომელიც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ეკუთვნის, ნაკლებად ინფორმირებულია — ქირურგიული ჩარევისას, დაზღვევა 70 პროცენტს აფინანსებს, ქიმიო და სხივური თერაპიისას კი — 80-ს.

— გამოკვლევებიც ფინანსდება?

— გამოკვლევათა გარკვეული ნაწილი სამედიცინო სადიაგნოსტიკო დაწესებულებებში ამბულატორიულ დონეზე ფინანსდება.

— ანუ პოლიკლინიკებში... რამდენად ენდობა ონკოლოგიური საავადმყოფო იქ დასმულ დიაგნოზსა თუ გაკეთებულ ანალიზს?

— თუ დაწესებულება და ექიმი ლიცენზირებულია, რატომ არ უნდა ვენდოთ? თუ ლიცენზია არ არსებობს, იქ არც კვლევა უნდა ტარდებოდეს... მოსახლეობაში ნამდვილად არსებობს უნდობლობის ფაქტორი, მაგრამ მოტანილ გამოკვლევებს იმიტომ არ ვიწუნებთ ხოლმე, რომ საფუძველი არ გვაქვს. თუ პაციენტს აქვს გადამოწმების სურვილი, ასეთ შემთხვევაში ტარდება განმეორებითი გამოკვლევა.

— ოღონდ დაფინანსების გარეშე, არა?

— ასეთ შემთხვევაში, გადამოწმება ფასიანია.

— რაც საკმაოდ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული ისევე, როგორც ქიმიო და სხივური თერაპია, რის გამოც ონკოპაციენტები ხშირად მიემგზავრებიან ისრაელში, თურქეთში, სადაც მსგავსი სამედიცინო მომსახურება, როგორც ამბობენ, შედარებით იაფია...

— პაციენტები საქართველოდან ნამდვილად მიემგზავრებოდნენ, ძირითადად, ისრაელსა და თურქეთში, ვისაც საშუალება ჰქონდა — გერმანიაშიც, საფრანგეთშიც, მაგრამ ბოლო წლებში ეს ნაკადი მნიშვნელოვნად შემცირდა, რადგან უმაღლესი ტექნოლოგიები — კომპიუტერული ტომოგრაფი, ექოსკოპი, მამოგრაფი, რენტგენის ციფრული აპარატი საქართველოშიც შემოვიდა...

დასასრული მე-10 გვერდზე

ინტერვიუ, რომელიც ყველა ონკოპაციენტმა უნდა წიაკითხოს

მე-9 გვერდიდან

შესაბამისად, კვლევისა და მკურნალობისთვის ხალხს უცხოეთში წასვლა აღარ უწევს.. განსაკუთრებით მიდიოდნენ დასასხივებლად, მაგრამ ხაზოვანი ამაჩქარებლები საქართველოშიცაა და აქედან გამომდინარე, გადინების სიხშირე იკლებს... სიმართლე გითხრათ, ეს უფრო ქართველების მენტალობიდან გამომდინარეობს, თორემ უცხოეთში გამგზავრებისა და მკურნალობის საჭიროება ახლა ნამდვილად აღარ დგას.

— არც ფასის გამო, ბატონო რეზო?

— ვერ დაგეთანხმებით, რომ უცხოეთში მკურნალობა ბევრად იაფი ჯდება... გზის, ტრანსპორტის, სასტუმროს ხარჯი, პლუს, მკურნალობა... როგორ შეიძლება, იქაური ფასები აქ არსებულ ტარიფებზე ნაკლები იყოს? არც ქიმიოთერაპიაა იაფი, არადა, ჩვენთან საყოველთაო დაზღვევამ საკმაოდ დიდი შეღავათი მისცა პაციენტებს.

— ამბობთ, საქართველოშიცაა უახლესი აპარატურაო, არადა, დაავადებულთა რაოდენობა სულ უფრო იზრდება...

— დაავადების მაჩვენებელი არამცთუ საქართველოში, მსოფლიოშია გაზრდილი. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის 2012 წლის მონაცემებით, ონკოპაციენტთა რაოდენობა 14 მილიონი იყო, ექსპერტთა გათვლით კი, 2034 წლისთვის 22 მილიონს მიაღწევს, შედეგად, კიბო დაავადებებს შორის პირველ ადგილზე გადავა.

— რატომ, ტექნოლოგიები, მედიცინა ხომ ვითარდება?

— დიაგნოსტიკის ტექნიკური აპარატურა დაავადებას შეიძლება, კვალდაკვალ მისდევს, მაგრამ გარემოს, დედამიწის ზედაპირის დაბინძურება, მაიონირებელი გამოსხივება, რადიაციული ფონი იმდენად მაღალია, რომ ამ დაავადებასთან ბრძოლაც რთულდება. ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვა 1/3-ს საერთოდ ააცილებს კიბოს, მშვიდი ცხოვრება, დაბალანსებული საკვები, ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, თამბაქოს აკრძალვა... ეს პრევენციაა, მაგრამ რეალობა ბევრად მკაცრია — ყოველ წელს 8 მილიონი ადამიანი იღუპება და მიუხედავად იმისა, რომ 50 წლის განმავლობაში სხვადასხვა დაავადებით გამოწვეული სიკვდილიანობა მკვეთრად შემცირდა — გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით 65%-ით, ინფექციებითა და პნევმონიებით 58%-ით, კიბოთი გარდაცვლილთა რაოდენობა მხოლოდ 5 პროცენტითაა შემცირებული. მთავარია, დაავადება ადრეულ სტადიაზე გამოვლინდეს, რაც განკურნების შანსს ბევრად ზრდის.

— საამისოდაა სკრინინგი, მაგრამ საქართველოში არსებობს კულტურა, რომ ექიმს პროფილაქტიკისთვის მიაკითხონ?

— ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციამ საქართველოში არსებული ვითარების შესწავლის შემდეგ გამოაქვეყნა დასკვნა, რომლითაც ჩვენთან, ყოველ წელს, კიბოს 12 ათასი ახალი შემთხვევა უნდა ფიქსირდებოდეს და ეს ჩვენს ხელთ

არსებულ მონაცემებს ბევრად აღემატება.

— ეს ხომ, ისეთი მცირერიცხოვანი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, საგანგაშოა?

— ნამდვილად და ყველაზე შემაშფოთებელი ისაა, რომ ჩვენს ქვეყანაში დაავადების გამოვლენა, შემთხვევათა 70 პროცენტში, მე-3-4 სტადიაზე ხდება. სწორედ ამიტომ უნდა ჩაიტარონ სკრინინგი — მკურნალობის ეფექტურობა დაავადების სტადიის პირდაპირპროპორციულია. სკრინინგის გარდა, პრევენციული ღონისძიებებია საჭირო — ფაქტია, სიგარეტი იწვევს ფილტვის კიბოს, მაგრამ მაინც დიდია მწეველთა რაოდენობა, ალკოჰოლი, მრუშობა...

— ეს უკანასკნელი რა შუაშია, კიბო ხომ სქესობრივი გზით არ გადადის?

— სამაგიეროდ, პაპილომა ვირუსი მამაკაციდან ქალზე გადადის და იწვევს საშვილოსნოს ყელის კიბოს... ამიტომ უნდა ტარდებოდეს გამოკვლევა მაღალ დონეზე...

— უნდა ტარდებოდეს, მაგრამ მოსახლეობას საშუალება არ აქვს.

— ახლა პოლიტიკურ ნიუანსებში გადავდივართ...

— ამ „ნიუანსს“ ვერსად გავექცევით. კი ბატონო, აფინანსებს სახელმწიფო, მაგრამ სად უნდა იშოვოს ადამიანმა თუნდაც 30 პროცენტი, როცა პურის ფული არ აქვს და მხოლოდ სოციალურ დახმარებას იღებს?

— სპონსორი უნდა ნახოს, რომელიც დაუფინანსებს ოპერაციას.

— ვინ გეგულებათ საქართველოში ასეთი, ბატონო რეზო, ვინ დაუფინანსებს ოპერაციას, მკურნალობას? ასეთი თუ იცით, მეც მითხარით და იმ ხალხსაც, ვინც უკიდურესად გაჭირვებულ მდგომარეობაშია.

— ...სამწუხაროდ, მათი რიცხვი ძალიან დიდი არაა, მაგალითად კახი კალაძე და მისი სამინისტრო სისტემატურად ეხმარება ონკოდაავადებულ ბავშვებს და ყველაფერს აკეთებენ, რათა მათ უკეთესი პირობები შეექმნათ.

— ბავშვებში სტატისტიკა როგორია?

— ყოველ წელს 300 ბავშვი ავადდება და აქედან 50 პროცენტი ონკოჰემატოლოგიური პაციენტია, დანარჩენი კი სოლიდური სიმსივნეებია. სხვათა შორის, ონკოჰემატოლოგიური პაციენტების მკურნალობა კარგადაა ორგანიზებული იაშვილის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში და მკურნალობაც საკმაოდ ეფექტურია.

გართოება

1. სამხედრო ფორმის ტანსაცმელი
2. ვაზის ჯიში სურნელოვანი ყურძნით
3. მხატვრის სამფეხა საყრდენი
4. ნორვეგიელი პოლარული მკვლევარი
5. კეთილი მომავლის რწმენა
6. თვალის ფერადი გარსი
7. განდიდების მანია
8. ძვირფასი სკამი, სავარძელი
9. იაპონ. ელეტრონტექნიკის ფირმა
10. ამაზონის დელფინი
11. რუკის სატარებელი ბრტყელი ჩანთა
12. ჩრდილოეთ გერმანელი ტომები
13. უმაღლესი სასწავლებლის განყოფილება
14. მდინარე პარიზში
15. ნემსა კონცხი სამხრეთ აფრიკაში
16. მდინ. ყაზახეთსა და ჩინეთში
17. ქართული ფოლკ-ჯგუფი
18. ინგლისური სქელი ლუდი
19. ქალაქი საფრანგეთში
20. ნაღვლის პიგმენტი
21. ბერძ. ჭაბუკი დუმბაძის მოთხრობ.
22. თეატრ. წარმოდ. ერთი მსახიობის საპატივსაც.
23. სახოტბო ლექსი
24. მხარე დასავლეთ საქართველოში
25. ძვირფასი სარეწაო თევზი
26. მდინარე საფრანგეთში
27. ინკვიზიციის უმცროსი მსახური
28. კოღო ანოფელესით გამოწვეული დაავადება
29. ალპინისტის ფეხსაცმელი
30. გრიგოლ ორბელიანის მეგობარი
31. მუსლიზმით გაგანირვებ. მაღალი ჩექმა
32. ძველოვანი წანაზარდი ცხოველის თავზე
33. „მიცუბიშის“ მოდელი
34. უდაბნო ცენტრალურ აზიაში
35. მშვილდით სასროლი ჯოხი
36. მუს. გამის III ნოტი
37. უბრალოთა რეპატრიაცია სამშობლოში
38. ბრაზილ. მწერალი
39. მწერალი _ იოსელიანი
40. გემების მისადგომი ნაგებობა ზღვაზე
41. მსახიობი ... ჟირარდო
42. საბრძოლო მანქანა
43. მტაცებელი ცხოველი
44. გრძელყელ. გოგრა
45. ყვავილის ლარნაკი
46. (ძვ.) ბადის საქსოვი ჩხირი
47. ხელის გული თითებიანად
48. მსხლის ფრანგული ჯიში
49. საოჯახო ელექტროხელსაწყო
50. ბრიტანელი მსახიობი ჯუდ ...
51. სპარსული სამეფო დინასტია
52. დაბალი მაგიდა
53. უფლის ... მცნება
54. მდინარე ქუთაისში
55. მარკესის „მარტოობის ... წელიწადი“
56. ოტელოს მტერი
57. ჰექტრის მეასედი
58. გემის ფსკერის ძირითადი კოშტი
59. სოფელი გორის რაიონში
60. პლანეტა იუპიტერის თანამგზავრი
61. იგივეა, რაც ფერმენტი
62. ერთეულთა საერთაშ. სისტემა
63. ჯავშნიანი ქვეწარმავალი
64. ხვადის ანტონიმი
65. უაზრო ლაპარაკი
66. პერუს დედაქალაქი
67. ისტ. ციხე-სიმაგრე აჭარაში
68. მკურნალ. ქალღმერთი
69. კუნძ. კარიბის ზღვაში

სუდოკუ ბანერი

ადვილი

			4	8		9	5	
							4	
			1		7	2		
		4	7	2		6		5
		7				8		
6		9		5	8	7		
		8	9		3			
	1							
	9	5		1	2			

სტანდარტი

	4			5				
2	1		8					
5			1		3			
	2			3			4	5
4				9				1
1	6			8			2	
			6		9			2
					5		7	9
				2			6	

რთული

	8			4	3			
	9			1		7		
	3						4	
7				2	9	1		
8				6				4
		9	8	5				2
	7						5	
		1		8			9	
			6	3			2	

ექსპერტი

5					3		8	
2	3		7			9		
		4	2			7	3	
	6				2			
9				1				6
			9				1	
	5	9			6	4		
		6			9		7	1
	7		1					9

ამერიკელების მეოთხედი გაუნათლებელია

აშშ-ს მცხოვრებთა 26%-მა არ იცის, რომ დედამიწა მზის ირგვლივ ბრუნავს, — ასეთია იმ გამოკითხვის შედეგები, რომელიც ამერიკულმა სამთავრობო სააგენტომ „ეროვნული მეცნიერების ფონდმა“ ჩაატარა. გამოკითხვის მიხედვით, სწავლულებმა ბევრი ახალი რამ შეიტყვეს თანამემამულეების განათლების დონის შესახებ. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ გამოკითხულ რესპონდენტთა მხოლოდ 48%-ს სჯერა ევოლუციის, „დიდი აფეთქების“ იდეაში კი 39%-ია დარწმუნებული. ამასთან, გამოკითხულთა 90%-მა განაცხადა, რომ გატაცებულია მეცნიერებით, 30% კი ამტკიცებდა, სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს მეცნიერთა მუშაობაო. აღსანიშნავია, რომ „ეროვნული მეცნიერების ფონდი“ ყოველწლიურად ამზადებს ანგარიშს აშშ-ს პრეზიდენტისა და კონგრესის წევრებისთვის. გამოკითხვის ერთ-ერთი მიზანი კი განათლების სფეროს დაფინანსების გაზრდაა.

წინა ნომერში გასული სუდოკუს პასუხები

ადვილი

4	3	8	2	1	6	9	5	7
9	5	2	3	8	7	6	4	1
1	6	7	5	4	9	2	8	3
3	4	5	7	6	1	8	2	9
7	8	6	9	2	4	3	1	5
2	1	9	8	5	3	7	6	4
8	7	4	1	9	2	5	3	6
6	2	3	4	7	5	1	9	8
5	9	1	6	3	8	4	7	2

სტანდარტი

8	7	4	6	1	3	5	2	9
3	5	2	8	4	9	1	6	7
1	9	6	7	2	5	3	8	4
4	8	9	5	3	7	6	1	2
2	6	1	4	9	8	7	5	3
7	3	5	2	6	1	9	4	8
9	2	8	1	7	6	4	3	5
5	1	3	9	8	4	2	7	6
6	4	7	3	5	2	8	9	1

რთული

4	7	6	5	3	2	1	9	8
3	5	8	1	4	9	7	6	2
2	1	9	7	8	6	3	5	4
8	9	3	4	7	1	6	2	5
7	6	5	3	2	8	9	4	1
1	4	2	9	6	5	8	7	3
9	3	1	2	5	7	4	8	6
6	2	7	8	1	4	5	3	9
5	8	4	6	9	3	2	1	7

ექსპერტი

8	9	7	1	5	4	6	3	2
6	4	5	3	2	9	8	1	7
3	2	1	7	6	8	9	4	5
7	5	4	6	8	3	2	9	1
2	3	9	5	7	1	4	8	6
1	8	6	4	9	2	5	7	3
9	6	8	2	3	7	1	5	4
5	1	3	9	4	6	7	2	8
4	7	2	8	1	5	3	6	9

მობილური ტელეფონი ვნებს

ჩვეულებრივ მობილურ ტელეფონზე უფრო მეტი ბაქტერიაა, ვიდრე უნიტაზის დასაჯდომზე, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ეს პოპულარული დევაისები, ექსპერტების მოსაზრებით, სხვადასხვა დაავადების მიზეზი ხდება. თვალებთან დაკავშირებული პრობლემები — თუ დიდხანს უყურებთ რაიმე პატარა ობიექტს, ეს თვალის სიმშრალეს იწვევს. ამ შემთხვევაში პატარა ობიექტი მობილურის ან სმარტფონის ეკრანია. თვალის სიმშრალე ანთებასა და ინფექციებს იწვევს. მეცნიერებმა Luton & Dunstable University-დან დაადგინეს, რომ რაც მეტხანს უყურებენ ბავშვები საკუთარ სმარტფონებს, მით დიდია მოზრდილობაში ახლომხედველობის რისკი;

ზურგთან დაკავშირებული პრობლემები — მობილურის გამო ადამიანს აღნაგობა ეცვლება. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ბოლო დროს განსაკუთრებით მოიმატა იმ ადამიანების რაოდენობამ, ვინც კისრისა და მხრების არეში ტკივილს უჩივის. ეს კი იმის გამო ხდება, რომ ტელეფონს ხშირად ყურზე მხრით ვიკავებთ, როცა ლაპარაკის დროს რამეს ვაკეთებთ;

ყბებთან დაკავშირებული პრობლემები — რაც უფრო ხშირად სარგებლობთ მობილური ტელეფონით, მით უფრო იცვლება ყბების მდგომარეობა. ქვედა ყბა სუსტდება. ასაკთან ერთად კანის ელასტიურობა ქვეითდება და რაც მეტად ვხრით თავს მობილურის ეკრანზე, მით უარესია ყბისა და საერთოდ, გარეგნობისთვის. ასე რომ, როცა რამეს კითხულობთ ან ათვალიერებთ ეკრანზე, შეეცადეთ ტელეფონი ისე დაიჭიროთ, თავის დიდად დახრა არ მოგიხდეთ;

სახეზე გამონაყარი — სმარტფონებზე უამრავი მიკრობია, ჩვენ კი მას ხან ლოყაზე ვიდებთ, ხან პირზე და ასე შემდეგ. თუ თქვენი კანი სწრაფად იფარება აკნეთი მიკრობების ნებისმიერი შემოტევისას, აუცილებელია, უკაბელო გარნიტურით ისარგებლოთ;

სმენის პრობლემა — დღეს მობილურებმა შეცვალა ფლეერები ხმამაღალი მუსიკის მოსმენა კი სმენის პრობლემას იწვევს.

ჰალსტუხი-ქამელეონი შექმნეს

ხორვატმა გამომგონებელმა ფუტურისტული ჰალსტუხი შექმნა, რომელიც იდეალურად წავა ნებისმიერ კოსტიუმზე და ნებისმიერი ღონისძიებისთვის გამოდგება. საქმე ისაა, რომ აქსესუარს ფერის შეცვლა შეუძლია. თუ თავს ჰალსტუხის არჩევაში ექსპერტად მიიჩნევთ ან პირიქით, უამრავ დროს ხარჯავთ, რომ ის იდეალურად შეუხამოთ პერანგს, მაშინ გამოგონება, მამაკაცების გაჯეტი iTie, აუცილებლად მოგეწონებათ. ავტორის განცხადებით, მისი ქმნილება მთლიანად ინტერაქტიურია და შეუძლია ფერები და ნახატებიც შეცვალოს ღილაკზე თითის დაჭერით. ეს კი ნიშნავს, რომ უახლოეს მომავალში ძლიერი სქესის წარმომადგენლებს მხოლოდ ერთადერთი, ჰალსტუხი-ქამელეონი დასჭირდებათ. გარდა ამისა, აქსესუარი აღჭურვილია მოქნილი დისპლეით. მალე კი ფუტურისტული ჰალსტუხის მფლობელები შეძლებენ სპეციალური დამატების გადმოტვირთვას, რაც ქსოვილის სხვადასხვა ფაქტურასაც წარმოადგენს. დიზაინერი ამტკიცებს, რომ კამერებით აღჭურვილ ქმნილებას პრაქტიკული გამოყენებაც ექნება: გაჯეტის მფლობელი შეძლებს, განახორციელოს სატელეფონო საუბრები, გაგზავნოს მოკლე ტექსტური შეტყობინებები და ისარგებლოს „სკაიპით“.

დათა გულუა — მარადისობაში გადასული გრძნეული პოეტი

„არა სიკვდილი, არა სიცოცხლე, არამედ რაღაც სხვა“, — ამ „რაღაც სხვამ“ ახალგაზრდა პოეტს, დათა გულუას, რომელიც 18 წლის ასაკში ავტოავარიით გარდაიცვალა, ჯადოსნური პოეზია შეაქმნევინა. 11 დეკემბერს, გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმში დათას ლექსები უკვე მერამდენედ წაიკითხეს... დათას სიკვდილის შემდეგ მისი პოეზიის ორი კრებულიც გამოიცა: „დავბრუნდი თქვენთან“ და „მე მაინც მიყვარს ის სასწაული, თეთრი კვიცივით უცებ რომ გარბის“. მისი პოეზია დანიაში, შვედეთში, ესტონეთში, ბულგარეთსა და რუსეთში უკვე ითარგმნა. 2009 წელს კი მწერალთა და მთარგმნელთა საერთაშორისო ფესტივალზე დათა გულუას, როგორც „სიტყვიერების დიდოსტატს“, ოქროს მედალი მიენიჭა. მწერალთა კავშირის გადაწყვეტილებით კი მისი ლექსები „ქართული პოეზიის ანთოლოგიაში“ შევიდა.

11 დეკემბერს, გალაკტიონის სახლის კედლებში დათა გულუას პოეზიის საღამო, აფხაზეთის სულიერების ცენტრის ორგანიზებით, უკვე მეორედ გაიმართა. ღონისძიებას ახალგაზრდა პოეტის მშობლები, თანაკლასელები, მეგობრები, მწერლები, პროფესორები, ფილოლოგები ესწრებოდნენ. როგორც მშობლები ამბობენ, 18 წლის პოეტი გალაკტიონს მეფედ თვლიდა და მისი პოეზია მიუწვდომელ სიმაღლედ მიაჩნდა, თუმცა დათას ლექსებში გალაკტიონის გავლენა არ იგრძნობა. მას უფრო გრანელს ამსგავსებენ, ეგაა ოღონდ: ტერენტი მეტისმეტად პესიმისტია, დათა კი ტრაგედიას სიკვდილისგანაც არ ქმნიდა, — ამბობს დათას მამა, ყოფილი ვიცე-პრემიერი ბაკურ გულუა: **„პატრიარქს ვკითხე, რა ვქნა, როგორ მოვიქცე, როცა დათამ ზუსტად განსაზღვრა, რომ ამქვეყნიდან მიდიოდა და ისიც კი იცოდა, ეს რომ შაბათს მოხდებოდა-მეთქი. პატრიარქმა მითხრა, ალბათ, ბევრს კითხულობ იმქვეყნიურ ცხოვრებაზე, მაგრამ ჩვენ მაინც ვერაფერს გავიგებთ, ეს ღვთიური მადლია, რომელიც ძალიან ცოტა ადამიანს ეძლევაო. ამაზე უკეთესი რა უნდა ვთქვა? ნეტავ, ახლა აქ, ჩემს ადგილას 30 წლის დათა იდგეს...“**

დათა გულუა, მართლაც, შაბათ დღეს დაიღუპა, როგორც 1 თვით ადრე, ერთ-ერთ ლექსში ივარაუდა: „და მე დამკრძალეს შაბათის დილას, მზის ნიჟარიდან დღე მოძვრებოდა“. შავი არც აწმყო ჰქონდა და არც მომავალი, რამ დააწერინა ასეთი ლექსებიო, — ჯავრობს მამა და არც იმას მალავს, რომ დღეს უკვე პოეტადაღიარებული შვილის პოეზიას სრულად არც იცნობდა — მეგონა, ბავშვურ ლექსებს წერდაო.

„ენგურჰესს ვაშენებდი და ისე გამოვიდა, ერთხელ, დათა სვანეთში ავიყვანე. არ მინდოდა, უცხოეთში ისე წასულიყო, საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭული არ ენახა. მთელი საქართველო შემოვლილი ჰქონდა, მაგრამ სვანეთი არ ენახა, თან ვუყვებოდი, ამ კაშხალში 4 მლნ კუბური მეტრი ბეტონი და მილლარდ ასი მილიონი წყალია-მეთქი. შევამჩნიე, არ მისმენდა, მერე შემომხედა და მკითხა, ბეტონზე რომ მელაპარაკები, ის მითხარი, იქ როდის ჩავალთო და გაღმა იყურებოდა, აფხაზეთისკენ. მისი გონება სულ აფხაზეთისკენ გარბოდა. დათას დედა აფხაზეთიდანაა და ჩვენი შვილი ომსაც შეესწრო. ვუპასუხე, მალე-მეთქი, მაგრამ დათა უფრო მალე წავიდა ამქვეყნიდან, ვიდრე ჩვენ ჩავედით აფხაზეთში“, — ამბობს ბაკურ გულუა.

საღამოზე ცნობილმა პოეტებმა დათას გრძნეული, ფილოსოფოსი ჭაბუკი, პოეზიის მზეჭაბუკი და ქართულ პოეზიაში ერთ-ერთი საუკეთესო სიმბოლისტი უწოდეს. განსაკუთრებით საინტერესო კი პროფესორ **მარინე ჯიქიას** შეფასებები თუ რეზენცია გახლდათ: **„წინასწარმეტყველი, გრძნეული, ესთეტი, პოეტი, რომლის მელოდიური და ფერწერული სული ლურჯ პანთეონში დღემდე სანთელივით ანთია, რადგან მისი სულიერი სამყარო ლურჯი, სევდისა და ტკივილის ფერისაა. ლურჯია მისი პოეზიაც და მისი საყვარელი ფერიც. „გაიშლებიან ლურჯი ფოთლები“, „ცას ჩამოლესავს ლურჯი გრიგალი“... როცა დათა გულუას პოეზიას გავეცანი, მისმა მწიგნობრობამ გამაოცა, ახალგაზრდა მზეჭაბუკს ერთნაირად შეუსწავლია აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურა, ანტიკური, შუასაუკუნეებისა და ახალი, იგი მცოდნეა მაღალი კლასიკური მუსიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების და მაღალი გემოვნებით გამოირჩევა. დათა გულუას უკვდავი ხსოვნა პოეზიაში გადაიღვარა, რაც ხელოვნების ყველაზე მაღალი ჟანრია. მხიბლავს მისი ნიჭიერება, სულის თავისუფლება. იგი არაჩვეულებრივ შედარებებს აკეთებს. მის პოეზიაში არაერთი მისტიკური და ესთეტიკური შეხამებაა, რაც სიმბოლიზმის არსია, ხოლო სიმბოლიზმი ხელოვნების უმაღლესი ფორმაა. დათა გულუა ქართული სიმბოლიზმის ბრწყინვალე წარმომადგენელია“.**

ნინო კომახიძე

ვერსიანიუსი

ფოთში მომხდარი ყაჩაღობა გახსნილია

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ფოთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად 1988 წელს დაბადებული ირაკლი ლ. ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ 10 დეკემბერს პისტოლეტით შეიარაღებული ორი ნიღბიანი პირი ფოთში მდებარე „ვისოლის“ ბენზინგასამართ სადგურში შეიჭრა და იქ მყოფ ორ ოპერატორს სიცოცხლის მოსპობის მუქარით 244 ლარი გასტაცა. თავდმსხმელები ასევე შეეცადნენ ბენზინგასამართი სადგურის შენობის ერთ-ერთ ოთახში მდებარე სეიფის გატეხვას ეროთი, რაც ვერ მოახერხეს და მიიმალნენ შემთხვევის ადგილიდან.

სამართალდამცველებმა ირაკლი ლ. ოპერატიული მოქმედებების შედეგად დააკავეს. ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას სამართალდამცველებმა 8,02 გრამი ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“ ამოიღეს, ხოლო მის საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად — ნიღაბი და ურო.

ამ დროისთვის მიმდინარეობს საგამოძიებო ღონისძიებები ყაჩაღობაში მონაწილე მეორე პირის დადგენა/დაკავების მიზნით.

გამოძიება ყაჩაღობისა და ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე (საქართველოს სსკ-ს 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით) მიმდინარეობს.

„ვერსიანიუსი“

სამცხე-ჯავახეთის საჯარო სკოლის მოსწავლეები პოლიციის მუშაობის სპეციფიკას გაეცნენ

შსს-ს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის მთავარი სამმართველოს თანამშრომლები, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ განხორციელებული პროგრამის „პროფესიული ორიენტაცია და კარიერის დაგეგმვა“ ფარგლებში, ვალეს 1 და მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლეებს ახალციხეში, საპატრულო პოლიციის შენობაში შეხვდნენ და პოლიციის მუშაობის სპეციფიკა გააცნეს. შსს-ს თანამშრომლებთან შეხვედრა სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს მხარდაჭერით გაიმართა.

მოსწავლეებმა საპატრულო პოლიციის ახალი მანქანა „ფორდ ინტერსეპტორი“ დაათვალიერეს. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა მათ ახალი საპატრულო ავტომანქანის მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს და აუხსნეს, რომ სპეცმანქანა აღჭურვილია სხვადასხვა დამატებითი უსაფრთხოების მოწყობილობითა და სისტემით, რომელიც არ გააჩნია საქართველოში დღეს მოქმედ არცერთ სპეცავტომობილს. „ფორდ ინტერსეპტორი“ მაღალი გამძლეობით, უსაფრთხოებისა და მოძრაობის გაძლიერებული მახასიათებლებით გამოირჩევა. მოზარდებს საშუალება ჰქონდათ, თავად გამოეცადათ „ფორდ ინტერსეპტორის“ ტექნიკური სიახლეები.

მოსწავლეებმა, ასევე, დაათვალიერეს პოლიციის შენობა, ხოლო სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლებმა და დეტექტივ-გამომძიებლებმა იარაღის დაშლა-აწყობა ასწავლეს და მათ მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხეს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის პროგრამის მიზანია მე-9 -მე-12 კლასების მოსწავლეებს პროფესიის შერჩევაში დაეხმაროს.

კახელმა პოლიციელებმა ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის სისხლი გაიღეს

შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კახეთის მთავარი სამმართველოს, სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის კახეთის სამხარეო განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს და სტრატეგიული ობიექტების დაცვის დეპარტამენტის, ასევე, კახეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს აქციაში – „გაიღე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე“ და ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის სისხლი გაიღეს. შინაგან საქმეთა სამინისტრო აღნიშნულ აქციაში თითქმის ორი წელია მონაწილეობს და სამინისტროს თანამშრომლები მ. იაშვილის სახელობის კლინიკასთან არსებულ სისხლის ბანკს ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის რეგულარულად აბარებენ სისხლს.

სისხლის ჩაბარების აქცია როგორც თბილისში, ისე, საქართველოს ყველა რეგიონში პერიოდულად იმართება და მასში სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის თანამშრომელი მონაწილეობს. შს სამინისტროს აღნიშნულ აქციაში მონაწილეობის მიზანი ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის საჭირო სისხლისა და სისხლის კომპონენტების დეფიციტის შემცირებაა.

„ვერსიანიუსი“

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.